# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 5 მარტი 2005 №48 (2371) ფასი 50 თეთრი


# რემბო ლანჩხუთში

## გურიაში რა გინდოდა: დღეს ტორპედო — დინამოა





## ბლოხინი ავად გამხდარა

დეპუტატებმა მწვრთნელს სასამართლოში უჩივლეს

4

## თუ არ გერგება, არ შეგერგება

იუვენტუსს ძველ ჯილდოებს ეცილებიან

5



## დიდი წრე სალინიდან სალინამდე

სტივ ფოსეტმა დედამიწას შემოუფრინა

13

# ევროაფრიკული ბულგარეთი — საქართველო

## პირველი დღე, 1:1



გუშინ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები დევისის თასის მეორე ევროაფრიკული ჯგუფის პირველ ტურში მასპინძელთა გუნდს ტოლ-სწორად ეთამაშა. უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელის ირაკლი ლაბაძის არყოფნაში ლიდერობა 19 წლის ლადო ჩიხლაძემ (ფოტოზე) იტვირთა. ბულგარელების მეორე ნომერს, საერთაშორისო კლასიფიკაციაში მასზე ლამის ხუთასი ადგილით მაღლა მდგომ იორდან კანევს ლადომ ოთხსეტიან მატჩში აჯობა და საქართველო დააწინაურა.

მასპინძლებს ხასიათი პირველმა ნომერმა ტოდორ ენევმა გამოუკეთა ირაკლი უშანგიშვილის დამარცხებით და საერთო ანგარიშის გათანაბრებით.

დღეს კორტზე წყვილები გავლენ. ხვალ კი ჩიხლაძე და უშანგიშვილი მეტოქეებს გაცვლიან.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

22 ტური ანონსი

დღეს განსაკუთრებული „ტორპედო" — „დინამოა", ჯერ იმიტომ, რომ მატჩი ლანჩხუთშია და კიდევ იმიტომ, რომ სეზონის მეორე ეტაპი ამ გუნდებმა ძალიან ცუდად დაიწყეს. და კიდევ იმიტომ, რომ თუ „დინამოს" ფეხი ერთხელაც დაუცდა, ვინძლო მწვრთნელ გია გეგუჩაძეს და მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილსაც უმკაცრესად მოსთხოვონ პასუხი.

მაშ ასე, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და სილვესტერ სტალონე წარმოგიდგენთ — „რემბო ლანჩხუთში" — მთავარ როლში ალექსანდრე კრიჟაშვილი... რადგან თამაში ქუთაისის ნაცვლად ლანჩხუთშია, ექსცესები ალბათ არ მოხდება და არბიტრი კრიჟაშვილიც, ვისი მეტსახელიცაა „რემბო", ქვანასროლ-ნამუჯლუგუნარი არ დარჩება.

დანარჩენზე კი „ტორპედოს" თავკაცი ოთარ გაბელია და „დინამოს" კაპიტანი გიორგი ნემსაძე გვეტყვიან...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 13 | 3 | 5 | 41:21 | 42 |
| თბილისი | 21 | 12 | 4 | 5 | 42:25 | 40 |
| ტორპედო | 21 | 11 | 7 | 3 | 33:14 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 5 | 6 | 35:25 | 35 |
| ლოკომოტივი | 21 | 7 | 10 | 4 | 27:18 | 31 |
| ზესტაფონი | 21 | 8 | 2 | 11 | 19:37 | 26 |
| ბათუმი | 21 | 6 | 7 | 8 | 24:19 | 25 |
| კოლხეთი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:27 | 23 |
| სიონი | 21 | 6 | 2 | 13 | 20:44 | 20 |
| დილა | 21 | 2 | 3 | 16 | 13:45 | 9 |

# ტორპედო V

ლანჩხუთი. 5 მარტი. 14 საათი. ევგრაფი შევარდნაძე (ტევადობა 22 000)



# რემბო

## თამაში, რომელსაც

10 მეგრელაძე
7 ბოლქვაძე 18 სოსელია
21 კოშკაძე 17 გ. ახალაია
13 ნერგაძე
5 რაქვიაშვილი 4 ბაქრაძე 25 გამეზარდაშვილი 14 მემარნიშვილი
1 მერლანი



**ოთარ გაბელია:**

— თამაშის წინა დღეს ლანჩხუთში ჩასვლა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, რადგან ქუთაისიდან ლანჩხუთი დაახლოებით ორმოცი წუთის სავალზეა.

**— და როგორ აპირებთ „დინამოსთან" თამაშს?**

— ისე, როგორც ეს პირველი ეტაპის მეორე წრეში — მაშინ „დინამოს" თბილისში მოვუგეთ.

**— ახლა კი არც თბილისში თამაშობთ და არც ქუთაისში...**

— ჩვენს სტადიონს უსაფუძვლოდ მისცეს დისკვალიფიკაცია. სადისციპლინო კომიტეტმა ეს იმით ახსნა, რომ მსგავსი დისკვალიფიკაცია გორის სტადიონსაც მიეციოო, მაგრამ მაშინ ისიც ვთქვათ, რომ დისკვალიფიკაციამდე გორის სტადიონს გაფრთხილება ანუ პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს. თანაც ჩვენს სტადიონზე „ზესტაფონთან" მატჩისას არავინ დაშავებულა, მე და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი ვამშვიდებდით გულშემატკივრებს, თორემ ისინი მოედანზე გადმოვიდოდნენ. რა თქმა უნდა, გულშემატკივრის საქციელს არ ვამართლებ, მაგრამ არავინ კითხულობს იმას, თუ ასეთი ექსცესები რატომ ხდება, რით იყო გულშემატკივარი უკმაყოფილო — მხოლოდ სტადიონის და კლუბის დასჯაა საქმე?!

**— თქვენ მსაჯობით იყავით უკმაყოფილო „ტორპედოს" წინა მატჩებში, „დინამოსთან" შეხვედრას კი კრიჟაშვილი გაუძღვება...**

— „ზესტაფონთან" მატჩში ნამდვილად ცუდად გვიმსაჯეს, ფოთში კი მეორე ტაიმში ორი პენალტი არ დაგვინიშნეს. მოდით, ყველამ ერთად ვუყუროთ ამ მატჩების ვიდეოფირებს და თუ მე მტყუანი ვარ, მსაჯებს ბოდიშს მოვუხდი.

**— „დინამოზე" რას იტყოდით?**

— გამიკვირდა, რომ „დინამომ" ასე ცუდად დაიწყო მეორე ეტაპი — კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს და პირობებიც ნორმალური აქვს.

**— მეორე ეტაპი „ტორპედომაც" ცუდად დაიწყო. მიგაჩნიათ, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თქვენ და „დინამო" ერთნაირ სიტუაციაში ხართ?**

— ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა ჩვენს ფეხბურთელებზე მართლაც ცუდად იმოქმედა, „ზესტაფონთან" მატჩის შემდეგ ერთ-ერთ ჩვენს ფეხბურთელს გასახდელში ცრემლებიც კი სდიოდა, მაგრამ ახლა განწყობა ბევრად უკეთესია, „დინამოსთან" მხოლოდ მოსაგებად გავალთ.

**— შანსებს როგორ აფასებთ?**

— თანაბრად.

**— წინა ტურის „დინამო" — „თბილისი" ფირზე არ გინახავთ?**

— არა, თუმც სურვილი კი მქონდა. ისე, ინფორმაციები მაქვს...



სარაევო, 4 მარტი. ევროპის ბევრ სტადიონზე ფეხბურთელების ნაცვლად თოვლსაწმენდები მუშაობენ

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXXVII ტური
ბარნლი 0:2 სანდერლენდი

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIX ტური
კაენი 1:0 ლიონი
II დივიზიონი. XXIX ტური
მონპელიე 0:0 რეიმსი
ბრესტი 1:0 ლე ავრი
ანჟე 3:2 ამიენი
დიჟონი 1:0 კრეტეი
სედანი 3:0 გენიონი
ლორიანი 3:1 ნიორი
ნანსი 2:1 გენგამი
ტრუა : კლერმონი გადაიდო

### ფინეთი

თასის პირველი ეტაპი
ტპ-47 : როვანიემი გადაიდო
იარო : ტურკუ გადაიდო
კტპ : მიუპა გადაიდო

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIV ტური
ჟილ ვისენტე 1:3 გიმარაეში

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXIII ტური
დუისბურგი 1:0 ალენი
ბურგჰაუზენი 0:3 მიუნხენი
დინამო 2:0 ალემანია
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXII ტური
ზანქტ პაული : ჰამბურგი (მ) გადაიდო
უნიონი : ოსნაბრიუკი გადაიდო

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXIV ტური
როზენდალი 1:0 ნაიმეგენი
II დივიზიონი. XXIV ტური
კამბური 0:1 სპარტა
ზვოლე : ეინდჰოვენი გადაიდო
ექსელსიორი : ჰერაკლესი გადაიდო
ჰელმონდი : დორდრეხტი გადაიდო
ჰაარლემი : აპელდორნი გადაიდო
ემენი : სიტარდი გადაიდო
მაასტრიხტი : ვენლო გადაიდო

### იტალია

სერია B. XXIX ტური
ბარი 0:0 კროტონე
სერია C1/B. XXVII ტური
ჯულიანოვა 2:2 ტერამო

### ბელგია

იუპილერლიგა. XXIV ტური
ანდერლეხტი : შარლერუა გადაიდო

### ირლანდია

პრემიერლიგა. I ტური
ლონგფორდი : უოტერფორდი გადაიდო

### ავსტრია

I დივიზიონი. XX ტური
ლინცერი 2:1 გრატკორნი
შტაინბრიუკენი : ლუსტენაუ გადაიდო
ვიორგლი : რიდი გადაიდო
კაპფენბერგი : კერნტენი გადაიდო
ალტახი : აუსტრია (ლ) გადაიდო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

22 ტური ანონსი

# ტ დინამო

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

## ლანჩხუთში მძაფრი სუნი ასდის

18 მელქაძე
11 დვალი
7 ნემსაძე
10 ჯამარაული
8 ბაბუნაშვილი
16 გ. შელიძე
3 კანდელაკი
24 ორბელაძე
14 სილაგაძე
28 ოდიკაძე
12 მამალაძე






**გიორგი ნემსაძე:**

— „დინამოს“ ბოლოდროინდელი ჩავარდნის ზუსტ მიზეზს ვერ გეტყვით, ყველაფერი ალბათ შეუთამაშებლობის ბრალია — მეორე ეტაპისთვის ხომ ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიდა გუნდში.

**— რა შანსი აქვს „დინამოს“ ლანჩხუთში „ტორპედოსთან“?**

— არ ვიცი, შანსები რამდენი რამდენზეა, ვიცი მხოლოდ ის, რომ უნდა მოვიგოთ.

**— მეორე ეტაპზე „დინამომ“ თითქოს სათამაშო სტილი შეიცვალა...**

— არა, უბრალოდ, სხვადასხვა მატჩებში ტაქტიკა იცვლება ხოლმე.

**— ტაქტიკა, რომლითაც მეტოქეები გჯობნიან.**

— არიან გუნდები, რომლებიც დაცვაში ჯდებიან და მათთვის მთავარი არწაგებაა — მეტოქის ასეთი ტაქტიკა მართლაც გვიქმნის პრობლემებს, ხან კი უიღბლობა დაგვჩემდება. მაგალითად, წინა მატჩში „თბილისთან“ პირველი ტაიმი ნორმალურად ვითამაშეთ, მეორეში კი ავნერვიულდით და ამის გამო ავირიეთ.

**— „ტორპედოსთანაც“ ტაქტიკა და იღბალი იქნება მთავარი?**

— ახლა კლასმა უნდა შეასრულოს მთავარი როლი.

**— შეუთამაშებლობა ახსენე — „დინამოში“ თამაშის წარმმართველები შენ და გოჩა ჯამარაული ხართ. ნუთუ თქვენც შეუთამაშებლობა გაწუხებთ?**

— ჩვენ გარდა სამატჩო განაცხადში კიდევ თექვსმეტი ფეხბურთელია. სიტუაცია მალე გამოსწორდება, „დინამოს“ თამაში დაიხვეწება.

**— მთავარ კონკურენტ „ტორპედოს“ ქუთაისის ნაცვლად ლანჩხუთში ეთამაშებით — ეს ფაქტორი ალბათ განსაკუთრებულად წაგეხმარებათ...**

— „ტორპედოსთან“ მატჩისთვის ისე ვართ მობილიზებულნი, რომ ქუთაისში ვითამაშებთ თუ სხვაგან, დიდი მნიშვნელობა არ ექნება, თუმც მატჩი რომ ლანჩხუთშია, რა თქმა უნდა, ეს შემამსუბუქებელი ფაქტორია ჩვენთვის.

**— ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზე გია გეგუჩაძემ ფეხბურთელებს რა გითხრათ?**

— რაც მოხდა, გულდასაწყვეტი კია, მაგრამ ახლა ახალი ეტაპი იწყება, საქმე ახლიდან უნდა დავიწყოთო. ვფიქრობ, მწვრთნელის საქმისადმი ასეთმა მიდგომამ დიდი როლი შეასრულა ფეხბურთელებისთვის ფსიქოლოგიური ტვირთის მოხსნაში.

**დავით თავართქილაძე**

### ტორპედო — დინამო ურთიერთშეხვედრები

| | | |
|---|---|---|
| 1990 | | |
| დინამო | 2:0 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:2 | დინამო |
| 1991 | | |
| დინამო | 5:1 | ტორპედო |
| 1991-92 | | |
| დინამო | 4:1 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:3 | დინამო |
| (ტორპედოს წაგება ჩაეთვალა) | | |
| 1992-93 | | |
| დინამო | 4:1 | ტორპედო |
| ტორპედო | 2:1 | დინამო |
| 1993-94 | | |
| დინამო | 3:1 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:1 | დინამო |
| 1994-95 | | |
| დინამო | 4:2 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:1 | დინამო |
| 1995-96 | | |
| დინამო | 5:1 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:1 | დინამო |
| 1996-97 | | |
| დინამო | 3:3 | ტორპედო |
| ტორპედო | 2:4 | დინამო |
| 1997-98 | | |
| დინამო | 3:0 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:4 | დინამო |
| 1998-99 | | |
| დინამო | 1:0 | ტორპედო |
| ტორპედო | 3:1 | დინამო |
| 1999-2000 | | |
| დინამო | 1:1 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:0 | დინამო |
| 2000-01 | | |
| დინამო | 0:3 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:1 | დინამო |
| დინამო | 1:1 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:0 | დინამო |
| 2001-02 | | |
| დინამო | 0:2 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:1 | დინამო |
| დინამო | 1:0 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:0 | დინამო |
| 2002-03 | | |
| დინამო | 0:2 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:0 | დინამო |
| დინამო | 0:0 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:1 | დინამო |
| 2003-04 | | |
| დინამო | 3:0 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:1 | დინამო |
| 2004-05 | | |
| დინამო | 1:2 | ტორპედო |
| ტორპედო | 1:1 | დინამო |

ტორპედო — დინამო
ქუთაისში: +5=5-8 15:23
სულ: +9=9-19 36:64

თბილისი. 5 მარტი. 15 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — სიონი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ზ. ანიაშვილი (გორი); ინსპექტორი: ს. კუტივაძე

**ბოლნისელებს** ჰყავთ შემტევი გრიგოლ დოლიძე, აგრეთვე რამდენიმე ექსლოკომოტიველიც და, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ მოძლიერებული გუნდიც. „ლოკომოტივი“ კი თითქოს ჰაერშია გამოკიდებული — არც ჩემპიონობისთვის იბრძვის და არც არგავარდნა ემუქრება. მაგრამ ნოდარ აკობიას გუნდს ჯერ არ მოუგია, მეორე ეტაპის სამივე მატჩში ფრე გაახერხა და დღეს იქნებ ტრადიციაც დაარღვიოს. ქულებს კი სასიცოცხლო მნიშვნელობა უფრო სახიფათო ზონაში მოტრიალე „სიონისთვის“ აქვს.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ „ლოკომოტივი“ — „სიონი“ ტურის სხვა მატჩებთან შედარებით ერთი საათით გვიან, 15 საათზე დაიწყება.

თბილისი. 5 მარტი. 14 საათი. ოლიმპი

## თბილისი — დილა

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ნ. რუხიშვილი (ქუთაისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

**დარწმუნებით** ვერ გეტყვით, გალატაკებული „დილა“ დედაქალაქში ჩამოსვლას შეძლებს თუ არა, მაგრამ თუ შეძლო, ალბათ ერთხელაც დაუცდება ფეხი, თუმც ისიც ვოქვათ, რომ „დილა“ „თბილისისთვის“ უხერხული მეტოქეა.

„თბილისს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული კაპიტანი და დაცვის ბურჯი რევაზ ქემოკლიძე, სამაგიეროდ, სანდრო იაშვილმა მოილია დისკვალიფიკაცია.

მცხეთა. 5 მარტი. 14 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — ბათუმი

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**არგავარდნისთვის** ბრძოლა ისე დაიძაბა, რომ პირველლიგელობის კანდიდატები მომრავლდნენ — თავი ქუდში არც ზღვისპირელებს აქვთ და წინა ტურში შინ „სიონისგან“ დამარცხებული „ბათუმი“ დღესაც თუ დამარცხდა...

აჭარელთა მასპინძელი ჩემპიონია, რომელსაც საჩემპიონო ამბიცია მეორე ეტაპის მეორე ტურში „დინამოსთან“ გამარჯვებამ გაუჩინა — ლიდერთან შვიდქულიანი სხვაობის გაბათილება მთვარეზე ასვლა ნამდვილად არაა. დრომ და ვითარებამ მოიტანა, რომ ჩემპიონობის რიგიანი შანსი ახლა ოთხ გუნდს აქვს.

„ვიტ ჯორჯიას“ ჰყავს ოთარ მარცვალაძე, „ბათუმს“ ბორის გონჩაროვი — თამაშს ეს ფაქტორიც სუნელივით შეაზავებს.

ზესტაფონი. 5 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — კოლხეთი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი); ინსპექტორი: მ. ჭელიძე

**სერგო გაბელაიას** გუნდი ჰყავს, ნებისმიერს გაამწარებს, „კოლხეთთან“ ქედმაღლობა ხეირს არავის მოუტანს. სახელდაგდებულ „ზესტაფონს“ მთელი ჯანი დასჭირდება კოლხთა წინააღმდეგობის დასაძლევად, დანარჩენს კი განგება და მრგვალი ბურთი განსაზღვრავენ — არ გავთამამდებით და „ზესტაფონს“ უპირობო ფავორიტად ვერ შევრაცხავთ.

# სალუქვაძე ყაზანში, დინამო რუსეთში

## ერთი კვირაც კიდევ დარჩა

**თბილისის** „დინამომ“, რომლის საქმეებიც ბოლო დროს მთლად კარგად ვერაა, კიდევ ერთი ფეხბურთელი გაასხვისა — 23 წლის მცველი ლაშა სალუქვაძე „დინამოდან“ გუშინწინ აიბარგა და რუსული პრემიერლიგის ყაზანის „რუბინს“ შეუერთდა. ლაშას ახალ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმც ეს ამბავი ამ დღეებში უნდა მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, „რუბინი“ „დინამოსთან“ და თავად ფეხბურთელთან ტრანსფერის პირობებზე შეთანხმებულია.

ლაშა სალუქვაძის „რუბინში“ წასვლა მოულოდნელად გადაწყდა. ყაზანელებმა ჩვენიანი მცველი მოისურვეს და არც „დინამოს“ ჰქონია რაიმე საწინააღმდეგო. მაშინ, როცა თბილისელები თამაშს თამაშზე აგებენ, მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ კი ოპტიმალურ შემადგენლობას ჯერაც ვერ მიაგნო, გუნდი სწორედ ასეთ დროს დატოვა არათუ „დინამოს“, არამედ ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა.

ზამთრის შეკრებიდან მოყოლებული, „დინამომ“ უკვე მეხუთე ფეხბურთელი გაუშვა. სალუქვაძემდე „დინამომ“ დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა და ლადო ბურდული ვლადიკავკაზის „ალანიას“, ლადო ახალაია კი შვეიცარიულ „ციურიხს“ დაუთმო.

და ბარემ აქვე გეტყვით, რომ „რუბინი“, სადაც თავის დროზე ლევან სილაგაძე, დავით ჩალაძე და გიზო ჯელაძე თამაშობდნენ, სალუქვაძემდე კვირკველიას ეპატიჟებოდა. ეს ტრანსფერი არ შედგა, თუმც, სამაგიეროდ, ყაზანელებმა ქართველი ფეხბურთელი ახლა მიიღეს.

რუსეთის პრემიერლიგა 12 მარტს იწყება და ამ ერთ კვირაში „დინამოდან“ სხვა „რუსულ ტრანსფერებსაც“ არ გამოვრიცხავთ.

**კობა ინასარიძე**



ლაშა სალუქვაძე „დინამოდან“ აიბარგა

# ანზორ კალაძე სპარტაკში გამოჩნდა

**ანზორ კალაძე** ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, კლუბიდან კლუბში ხშირი მოგზაურობა რომ დაებედა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მცველმა ჩვენი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „თბილისში“ ითამაშა, თუმც ამ კლუბში მომხდარი რეორგანიზაციის შემდეგ მისი კვალი ერთხანს დაიკარგა.

ორიოდ კვირის წინ ანზორი რამენსკოეს „სატურნის“ დუბლშემადგენლობაში გამოჩნდა, თუმც გუშინ მისი გვარი მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლებში აღმოვაჩინეთ. კალაძემ ყაზახურ „უეტისუსთან“ ამხანაგურ მატჩში (1:2) სრულად ითამაშა — „სპარტაკის“ დუბლშემადგენლობა ამჟამად თურქულ ბელეკშია შეკრებაზე.

**ილია ნანობაშვილი**



# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 1 შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე



*უკრაინის ნაკრების თავკაც ოლეგ ბლოხინს სახალხო რადას დეპუტატებმა რომ შეუტიეს, გუშინდელ „სარბიელშიც“ გამცნეთ. კანონმდებლები ბლოხინს არჩევანის წინაშე აყენებენ — ან დეპუტატობა, ან მწვრთნელობა — რამაც უკრაინაში გვარიანი ხმაური გამოიწვია და ეს გასაკვირი არც არის: ბლოხინის გუნდი ხომ შესარჩევი ჯგუფის ლიდერია.*

*ვერ გეტყვით, ამის გამოა თუ არა, მაგრამ ფაქტია, ოლეგ ვლადიმიროვიჩი ლოგინად ჩავარდნილა, თუმც ჟურნალისტებთან საუბარი მაინც არ დაზარებია:*

# ბლოხინი ავად გამხდარა

## დეპუტატებმა მწვრთნელს სასამართლოში უჩივლეს

„მაღალი სიცხე მაქვს და ეს დღეებია, წოლითი რეჟიმი დამინიშნეს. ამის გამო რადაში მისვლა და ჩემ წინააღმდეგ ამხედრებული დეპუტატებისთვის პასუხის გაცემა ჯერაც ვერ მოვახერხე“ — განაცხადა ბლოხინმა.

უკრაინელთა თავკაცი დანებებას არ აპირებს და თავს ასე იმართლებს: „მე ნაკრებში საზოგადოებრივ საწყისებზე ვმუშაობ, ანუ ხელფასს არ ვიღებ. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტია. დეპუტატებს ურჩევნიათ, ისიც გაითვალისწინონ, რომ კანონით „აღმზრდელობითი საქმიანობა“ დასაშვებია და განა მწვრთნელობა სხვა რამეა?!“

საინტერესოა, რადა მაინცდამაინც ახლა გაუხსენეს ბლოხინს „ძველი ცოდვები“? ვის აძლევს ხელს უკრაინის ნაკრების წინსვლის შეჩერება? ამ კითხვებზე ბლოხინს პასუხი არა აქვს.

„ეს მათ ჰკითხეთ, ვინც ახლა ამიმხედრდა. წარმოიდგინეთ, ამ ყველაფერს ხომ ნაკრების ფეხბურთელებიც უყურებენ ტელევიზორში და კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებში. რა გამოდის? ბიჭებს, რომლებმაც შესარჩევ ეტაპზე მშვენივრად ითამაშეს და დიდი შანსი აქვთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდნენ, უცებ ეუბნებიან, რომ „უსამართლოდ დანიშნული“ მწვრთნელი ჰყავთ! ეს ხომ აბსურდია!“

ისიც ვთქვათ, რომ რადას სარეგლამენტო კომიტეტმა დეპუტატების მოთხოვნით კიევის სააპელაციო სასამართლოს მიმართა. საქმის განხილვა ერთ-ორ კვირაში დაიწყება.

„მინდა, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვოს და არა მავანთა პოლიტიკურმა ამბიციებმა, თორემ ნაკრებიდან წასვლაზე ახლავე დავწერდი განცხადებას. თუკი ვინმეს მწვრთნელი ბლოხინი არ მოსწონს, ჯობია პირდაპირ მითხრას და ბინძურ თამაშებს შეეშვას“ — ამბობს ბლოხინი.

**კახა შალამბერიძე**

# ფკ ამერი და „სარბიელი“ წარმოგიდგენთ

**ხვალ,** 6 მარტს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მეორე წრე იწყება. ხვალიდანვე ფკ ამერის ვებ-გვერდი გულშემატკივრებს ფოტო-კონკურსში მონაწილეობისთვის იწვევს.

***გიორგი დარჯანია,*** *ფკ ამერის პრესსამსახურის უფროსი:* „კონკურსის ჩატარების იდეა „სარბიელის“ ფოტოარქივის თვალიერებისას გაჩნდა. 14 წლის განმავლობაში, რაც „სარბიელი“ არსებობს, მის არქივში ათასობით ფოტო დაგროვდა. ამ ფოტოებს შორის ისეთებიცაა, რომლებზეც ადრე სხვა გუნდებში მოთამაშე, ახლა კი ამერელი ფეხბურთელები არიან აღბეჭდილნი.

დავინტერესდით, გულშემატკივარი თუ შეძლებდა ამ სიძველისგან სიყვითლეშეპარულ ფოტოებზე ამერელების ამოცნობას და „სარბიელის“ რედაქციასთან შეთანხმების მერე გადავწყვიტეთ, კონკურსი მოგვეწყო.

ვფიქრობთ, ის გულშემატკივრები, „ამერის“ მატჩებზე სისტემატიურად რომ დადიან, დავალებას იოლად გაართმევენ თავს. კონკურსის სხვა მონაწილეებს კი ჩვენს ვებ-გვერდზე არსებული ამერელთა ახლანდელი ფოტოები დაეხმარებათ.“

კონკურსის პირობებს და პრიზების ჩამონათვალს www. fcameri.ge-ზე გაეცნობით.


საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

ცხინვალი — ამერი

6 მარტს 14 საათიდან

ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე

www.fcameri.ge


# თქვენი ინტერვიუ
# ზურაბ ხიზანიშვილთან
### «რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია



*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს“ ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# თუ არ გერგება, არ შეგერგება

## ქალბატონს სექსი შესთავაზეს

*რამდენიმე დღის წინ იტალიის სასამართლომ ტურინის „იუვენტუსის" ექიმ რიკარდო აგრიკოლას საქმის ხელახალი მოსმენა დაასრულა და იგი 1994-1998 წლებში აკრძალული პრეპარატების ხმარებაში დაადანაშაულა.*

*შეგახსენებთ, რომ გასულ წელს აგრიკოლას ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ახლა ახალი დეტალები გამოიკვეთა და შესაძლოა, განაჩენი ბევრად გამკაცრდეს. თუმც ექვმიტანილის ადვოკატებმა აპელაცია უკვე შეიტანეს და ეს აურზაური სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.*



ლუიჯი სიმონიმ, კუთვნილი სკუდეტო დაგვიბრუნეთო

**საფეხბურთო ევროპას** კი აგრიკოლას განაჩენზე მეტად „იუვენტუსის" მიერ იმ პერიოდში მოპოვებული ტიტულები აღელვებს. ტურინელებმა 1994-1998 წლებში სამჯერ სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი და იტალიის თასი მოიგეს. პრესაში, განსაკუთრებით კი იტალიურში, აქტიურად ალაპარაკდნენ, „ბებერ ქალბატონს" ეს ჯილდოები უნდა ჩამოერთვასო.

ჯერჯერობით, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია არანაირი ზომების მიღებას არ აპირებს, ხოლო უეფას ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, სანამ ყველაფერს საბოლოოდ ნათელი არ მოეფინება, კომენტარებისა და რაიმე გადაწყვეტილების მიღებისგან თავს ვიკავებთო.

ერთ-ერთი ბოლო, ვინც ამ საკითხზე ილაპარაკა, მილანის „ინტერის" ყოფილი თავკაცი ლუიჯი სიმონია. იგი მოითხოვს, რომ 1998 წლის სკუდეტო „ნეროაძურის" გადაეცეს. რატომ? მაშინ „იუვენტუსი" დოპინგის გარეშეც საეჭვო ვითარებაში გახდა ჩემპიონი, მსაჯები წაეხმარნენო.

ჯიჯი სიმონი: „იმ წელს ჩვენ მეორეზე გავედით, მაგრამ ტურინელები სამართლიანად არ გვებრძოდნენ. დასტურად, მეორე წრეში, ჩვენი ურთიერთშეხვედრაც გამოდგება. მაშინ, რონალდოს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს, ხოლო მსაჯმა ბოლო წუთზე ჩვენს კარში პენალტი გამოიგონა. თუ ეს ყველაფერი საბოლოოდ დამტკიცდა, რასაც ბევრი არ უკლია, აუცილებლად სათანადო ზომები უნდა მიიღონ. ასეთ შემთხვევაში, წვეულებას მოვაწყობ და იმ გუნდის ყველა წევრს დავპატიჟებ, რათა ჩვენს მიერ ალალად მოპოვებული ტიტული აღვნიშნოთ. თუმცა, მეორეს მხრივ, ვერ წარმომიდგენია, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ოდესმე გაბედავს „იუვენტუსისთვის" სკუდეტოს ჩამორთმევას".

სიმონის პათოსს ცხადია, არ იზიარებს „ბებერი ქალბატონის" ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა: „სანერვიულო არაფერი გვაქვს, რადგანაც საკუთარ უდანაშაულობაში და სიმართლეში დარწმუნებული ვართ. ვერავინ წაგვართმევს იმას, რაც ჩვენია".

ბოლოს კი „იუვენტუსის" ყოფილ ვარსკვლავსა და უეფას პრეზიდენტობის კანდიდატ მიშელ პლატინისაც მოვუსმინოთ. იგი თვლის, რომ მთლიანად კლუბი და ცალკეული მოთამაშეები დამნაშავენი არ არიან.

„ფეხბურთელებმა ამის შესახებ არაფერი იციან, ეს აშკარაა. არადა, აკრძალული პრეპარატების ინტენსიური და მიზანმიმართული ხმარება მათი საქმის კურსში ჩაყენების გარეშე გამორიცხულია. დოპინგი უბრალო საღეჭი რეზინი არ გეგონოთ, იგი სექსს ჰგავს და ორი პიროვნება სჭირდება, ამ შემთხვევაში, ექიმი და მოთამაშე" — აღნიშნა ლეგენდარულმა ფრანგმა.

**გიორგი ძაძამიძე**

# ვის არ უნდა მადრიდში?

## ბექემს ლაპარაკი რცხვენია



**დევიდ ბექემმა** თქვა, რომ „რეალში" დარჩენა და კარიერის დასრულებაც იქვე უნდა.

„მანჩესტერიდან რომ მივდიოდი, ვიცოდი, რომ კარიერა სწორედ „რეალში" უნდა დამესრულებინა — თქვა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა — აქ დარჩენა მინდა. მადრიდი ჩემს ოჯახსაც მოსწონს. მაისში ოცდაათისა შევიქნები და ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადს კიდევ შევძლებ ჩვეულად თამაშს".

ბექემმა გუნდის თავკაცად ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგოს მისვლაც მოიწონა.

„საუკეთესო წინ არის. ჩვენმა მწვრთნელმა იცის, რა უნდა. მხოლოდ მუშაობა და სიმტკიცე გვჭირდება, მწვრთნელს დიდ პატივს ვცემთ. ის ძალიან მეხმარება იმის მიხვედრაში, თუ როგორ ვითამაშე. ოდნავ მარჯვნივ ჩამწია და საერთოდ, მისი ტაქტიკური მონახაზიც უკეთესია. სხვა თუ არაფერი, გუნდში სიცილი და ხალისი დაბრუნდა. ახლა ვარჯიში გვსიამოვნებს. ხუმრობა დაძაბულობას აქრობს".

ფეხბურთელმა ესპანური ენის ცოდნაზეც კი ილაპარაკა: „კარგად ვსწავლობ, ბევრიც მესმის, მაგრამ ლაპარაკი მრცხვენია".

ბექემს თურმე ბიზნესშიაც კარგად მისდის საქმეები — 11 სპონსორი ჰყოლია, აქედან კი ხუთია მთავარი და შარშან გვარიანი დროც დაუთმია კომერციისთვის, რაც, ცოდვა გამხელილი სჯობს და მის თამაშსაც ეტყობოდა.

საერთოდ კი, ფეხბურთელს კონტრაქტით კიდევ 2 წელიწადი დარჩა მადრიდში, თუმცა ხელშეკრულების განახლებაზე მისთვის ჯერ არავის არაფერი უთქვამს.

არავისთვის არის საიდუმლო, რომ დევიდ ბექემს მილიონები მოაქვს „რეალისთვის", მარკეტინგი ხომ დიდწილად მის იქ ყოფნასა და მისი მაისურების გაყიდვაზეა აწყობილი. ეს იმის მიუხედავად, რომ კლუბში ისედაც დიადი ფეხბურთელები თამაშობენ. თანაც. ზიდანმა, რაულმა, რონალდომ და რობერტო კარლოსმა უკვე განაახლეს თავიანთი კონტრაქტები.

ინგლისიდან ბექემზე თვალი „არსენალსა" და „ტოტენჰემს" უჭირავთ, თუმცა რახან ფეხბურთელი ღიად აცხადებს, მადრიდში დარჩენა მინდაო, ამ თვალის ჭერაზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

ბექემი ყოველკვირეულად 100 ათას გირვანქას იღებს ხელფასად. მადრიდში კი მის გარდა, ორი ინგლისელია: მაიკლ ოუენი და 25 წლის ტანჯული მცველი ჯონათან ვუდგეიტი, „ნიუკასლიდან" 15 მილიონ გირვანქად ნაყიდი ფეხბურთელი, რომელსაც მძიმე ტრავმათა გამო 10 თვეა არ უთამაშია და რომელიც ორჯერ განმეორებით დაშავდა ვარჯიშებზე ისე, რომ იღბალმა სრულიად აქცია ზურგი.

„მის ვარჯიშებზე ხალხი აღფრთოვანებას ვერ მალავდა — ამბობს ოუენი — მაგრამ, ბედი არ გინდა? ვუდგეიტი ახლა იმგვარ დღეშია, რომ ახალ სეზონში თუ ვიხილავთ მადრიდელთა დაცვაში".

თავად ოუენმა კი ოთხმაბათს გაიტანა თავისი მეცხრე სალიგო გოლი „რეალში". თუმცა ძირითადის ნამდვილ წევრად ჯერჯერობით მაინც ვერ იქცა ამის გამო კი ამბობენ, გაისად ინგლისში, კერძოდ „ნიუკასლში" ითამაშებსო.

მაიკლი მტკიცედ უარყოფს ამას, მადრიდში მინდაო.

ვის არ უნდა მადრიდში?

**ირაკლი გამყრელიძე**




**იტალიური** „პარმას" მეკარემ სებასტიან ფრეიმ დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს. „კონტრაქტს ვადა 2007 წელს გასდის და მის გახანგრძლივებას არ ვაპირებ. კლუბის შეფობას არ კი სურს, უფასოდ გამიშვან. ალბათ, ზაფხულშივე სხვაგან გამყიდიან" — თქვა 25 წლის ფრეიმ.

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ბარსელონას" ყოფილი მცველი მიგელ ანხელ ნადალი ფეხბურთიდან წავიდა. მან ბოლო 6 წელი „მალიორკაში" გაატარა. წლეულს 38 წლის ვეტერანმა მხოლოდ 6 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. „ვგრძნობ, რომ წასვლის დრო მოვიდა. მინდორზე თითქმის 20 წელი ვიყავი და არაფერზე ვნანობ" — მოკლედ თქვა ნადალმა.

**ინგლისური** „არსენალის" მეკარე მანუელ ალმუნიას აზრით, ჟოზე მაურინიუს ვარსკვლავური სინდრომი შეეყარა. „იგი ძალიან გამომწვევად იქცევა და თავის ძალებში ზედმეტადაა დარწმუნებული. ვფიქრობ, „ჩელსი" სწორედ ამიტომ ვერ დაძლევს „ბარსელონას" ბარიერს" — დასძინა ალმუნიამ.

**იტალიური** „ინტერის" თავდამსხმელი ხულიო კრუზი „ბოლონიაში" დაბრუნებას არ გამორიცხავს: „ინტერში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია და მეც მეამაყება, თუმც სკამზე ჯდომით დავიღალე. თანაც „ბოლონიას" ვერასოდეს დავივიწყებ. „რენატო დალ არაზე" დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი" — თქვა კრუზმა.

**გერმანულმა** „ბაიერნმა" და პაულო გერერომ ახალი კონტრაქტი გააფორმეს. 21 წლის პერუელი თავდამსხმელი ახლა უკვე 2008 წლამდე იქნება მიუნხენელთა საკუთრება. გერერო წლეულს მართლაც შთამბეჭდავად თამაშობს — ჩატარებული 9 მატჩში 6 გოლი აქვს გატანილი.

**იტალიური** „რომას" ნახევარმცველმა ოლივიე დაკურმა აღნიშნა, შესაძლოა „იუვენტუსში" გადავიდე და კარიერაც იქ დავასრულოო. „რომაელებთან კონტრაქტი კი მაკავშირებს, მაგრამ კლუბში ჩემი მომავალი მაინც ბუნდოვანია. ვფიქრობ, სეზონის ბოლოს სხვაგან გადასვლა მომიწევს, „იუვენტუსი" კი საუკეთესო ვარიანტი იქნება. ტურინში კარიერასაც დიდი სიამოვნებით დავასრულებდი" — ამბობს დაკური.

**რუსული** „სპარტაკის" სპონსორი ამიერიდან **NIKE** იქნება. შეთანხმების პირობები და ფინანსური დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება. კონტრაქტი ძალაში მომავალი სეზონიდან შევა. გარდა ამისა, მოსკოველებს დმიტრი ალენიჩევის სახით ახალი კაპიტანიც ეყოლებათ.

**იტალიური** „რომას" გარშემო ატეხილი აყიოტაჟის ჩაცხრობა კლუბის მფლობელ ფრანკო სენსის ქალიშვილმა და დედაქალაქელთა აღმასრულებელმა დირექტორმა როზელა სენსიმ სცადა: „მართლაც ყელში ამოვიდა ეს უსაფუძვლო ჭორები. მათ, ვინც ასეთ ბინძურ ინფორმაციებს ავრცელებს, სძულთ „რომა" და ჩვენი ოჯახი. ყველას ვთხოვ, პროვოკაციებს ნუ აჰყვებიან — „რომა" არ იყიდება".

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" ახალგაზრდა ვარსკვლავი შონ რაიტ-ფილიპსი ორი თვე ვეღარ ითამაშებს. მან „ნორვიჩთან" მატჩში მუხლი დაიშავა და ოპერაციის გაკეთება დასჭირდება. „მისი ტრავმა ძალიან დიდი დანაკლისია ჩვენთვის და პრობლემებს შეგვიქმნის. თუმც კლუბის ექიმების იმედი მაქვს და მჯერა, შონი მალე დაგვიბრუნდება" — თქვა „სიტის" თავკაცმა კევინ კიგანმა.

**იტალიური** „ფიორენტინა" და „პალერმო" მილან ბაროშით დაინტერესდნენ. ჩეხმა ცოტა ხნის წინ აღნიშნა, „ლივერპულის" დატოვებაზე ვფიქრობო და მსურველებმაც არ დააყოვნეს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ფლორენციელები ზაფხულის მერე ცდილობენ ბაროშის ხელში ჩაგდებას. „იებისადმი" სიმპათიას არც თავად ფეხბურთელი მალავს.

**ბრაზილიური** „კორინთიანსის" მთავარი მწვრთნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, დანიელ პასარელა გახდა. მხარეებმა ჯერჯერობით მხოლოდ ათთვიანი კონტრაქტი გააფორმეს. ლეგენდარული არგენტინელი ამ ხნის მანძილზე ხელფასის სახით 1,5 მილიონ დოლარს მიიღებს. „ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ. პირველ რიგში გუნდში დისციპლინის დამყარებას დავიწყებ" — თქვა პასარელამ.

'2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**II ჯგუფი. II ტური**

**სანტოსი (ბრაზილია) 3:2 დანუბიო (ურუგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანუბიო (ურუგვაი) | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ბოლივარი (ბოლივია) | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 3 |
| სანტოსი (ბრაზილია) | 2 | 1 | 0 | 1 | 6:6 | 3 |
| ლიგა დეპორტივა (ეკვადორი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**III ჯგუფი. I ტური**

**სთრონგესტი (ბოლივია) 3:3 სან პაულუ (ბრაზილია)**

**V ჯგუფი. II ტური**

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:0 ნასიონალი (ურუგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ოლმედო (ეკვადორი) | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

**ჰოლანდია**

**თასის ნახევარფინალის წილისყრა**

20 აპრილი

**ფეიენოორდი — პსვ ეინდჰოვენი**

21 აპრილი

**ტილბურგი — აიაქსი**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატალანტა | : | მილანი |
| რომა | : | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| უდინეზე | : | ბოლონია |
| სიენა | : | ბრეშა |
| პარმა | : | კალიარი |
| სამპდორია | : | კიევო |
| მესინა | : | ლაციო |
| ინტერი | : | ლეჩე |
| ლივორნო | : | პალერმო |
| ფიორენტინა | : | რეჯინა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 26 | 17 | 6 | 3 | 44:16 | 57 |
| იუვენტუსი | 26 | 17 | 6 | 3 | 43:15 | 57 |
| სამპდორია | 26 | 13 | 5 | 8 | 30:20 | 44 |
| ინტერი | 26 | 9 | 16 | 1 | 47:31 | 43 |
| უდინეზე | 26 | 12 | 6 | 8 | 36:26 | 42 |
| პალერმო | 26 | 11 | 9 | 6 | 28:19 | 42 |
| რომა | 26 | 10 | 8 | 8 | 45:38 | 38 |
| ლეჩე | 26 | 9 | 8 | 9 | 45:45 | 35 |
| რეჯინა | 26 | 9 | 8 | 9 | 27:29 | 35 |
| კალიარი | 26 | 9 | 7 | 10 | 36:42 | 34 |
| ბოლონია | 26 | 8 | 9 | 9 | 26:25 | 33 |
| ლაციო | 26 | 9 | 6 | 11 | 34:36 | 33 |
| ლივორნო | 26 | 8 | 7 | 11 | 26:33 | 31 |
| მესინა | 26 | 7 | 8 | 11 | 29:40 | 29 |
| კიევო | 26 | 7 | 7 | 12 | 21:37 | 28 |
| ფიორენტინა | 26 | 6 | 9 | 11 | 25:34 | 27 |
| პარმა | 26 | 6 | 8 | 12 | 27:42 | 26 |
| სიენა | 26 | 4 | 13 | 9 | 24:38 | 25 |
| ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 18:32 | 23 |
| ატალანტა | 26 | 3 | 9 | 14 | 22:35 | 18 |

# იტალია

პაპუნა კიდია

# კაპელოს რა... ოლიმპიკოური ცოდვის ტრიალი



ფაბიო კაპელომ და ფრანჩესკო ტოტიმ ერთმანეთი ბევრჯერ გამოლანძღეს

**გასული** ზაფხული გახსოვთ? გახსოვთ, რა მოულოდნელად გაექცა „რომას" მწვრთნელი? გახსოვთ, უეცრად საიდან სად ამოჰყო თავი? გახსოვთ, რომ რომაელი ქომაგების როგორი რისხვა მოჰყვა მის ასეთ საქციელს? გახსოვთ, როგორ აკრიტიკებს მას მერე „რომას" კაპიტანი და ლიდერი ფრანჩესკო ტოტი?

მოკლედ, ფაბიო კაპელოზე მოგახსენებთ, „იუვენტუსის" თავკაცზე, რომელსაც ამ საღამოს, საქართველოს დროით თორმეტის ნახევარზე „ბებერი ქალბატონი" თავის ყოფილ სანახებში, „სტადიო ოლიმპიკოზე" გაჰყავს „რომასთან" საჯაჯგუროდ.

მერედა, განა მხოლოდ მწვრთნელშია საქმე? მხოლოდ ასე რომ იყოს რა უჭირდა, მაგრამ გასულ ზაფხულს, „ოლიმპიკოდან" „დელე ალპიზე" კაპელოს ფეხბურთელებიც გაჰყვნენ, ჯონათან ძებინა და ემერსონი, რომლებიც შესაბამისად, დღეს თავიანთ ყოფილ თანაგუნდელებს დაუპირისპირდებიან.

ასე და ამგვარად, დღეს, რომის ოლიმპიურზე დიდი სტვენა და ყიჟინია მოსალოდნელი, ხოლო მოედანზე, თქმა არ უნდა, ყოველ მიზეზს გარეშე დიდი ბრძოლა გაიმართება. მერედა, როდესაც ფრანჩესკო ტოტის კარგად თამაში საგანგებოდ სწადია, ჩვეულებრივ დიდი სპექტაკლები იმართება-ხოლმე.

ტოტის სწორედ ამ შეხვედრის წინ ჰქონდა დისკვალიფიკაცია და დღეს ყველა სიკეთესთან ერთად დასვენებულიც იქნება. რომაელთა სტიმულს კალენდარული წინაისტორიაც აძლიერებს — „ჯალოროსიმ" ანუ ყვითელ-წითლებმა ბოლო სამი თამაშიდან ორი წააგეს. დღეისთვის დისკვალიფიცირებულია ფილიპ მექსეში, ხოლო ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ კრისტიან კივუ და დამიანო ტომაზი.

„იუვენტუსს" კი თავის წილ სჭირდება სამი ქულა, თორემ ერთი ხნის წინ მოპოვებული ყბადაღებული რვაქულიანი უპირატესობა დღეს უკვე განიავებული აქვს და თუ „რომასთან" დამარცხდება, შეიძლება ჩამორჩეს კიდეც ჩემპიონ „მილანს". ისევ არ იქნება ტურინელთა მთავარი ძალა, ჩეხი პაველ ნედველი, თუმცა გრიპმოხდილი ფრანგი დავიდ ტრეზეგე ალბათ, დაუბრუნდება მოედანს.

ხოლო, „მილანი" რომ ვახსენეთ, ისიც დღეს თამაშობს — ბერგამოში, „სტადიო აძური დე იტალიაზე", სერია A-ს აუტსაიდერ „ატალანტას" წინააღმდეგ. მოგეხსენებათ, იტალიის ჩემპიონს არ ეყოლება ანდრეი შევჩენკო, რომელმაც ერთი თვე კიდევ უნდა გამოტოვოს. გასულმა კვირამ თითქოს დაამტკიცა, რომ „როსონერი" უკრაინელის გარეშეც იგებს მატჩებს, მაგრამ მეორე მხრივ იმ ხალხისაც გასაგებია, ვინც ამბობს, ეს ჯერ კიდევ გამოსარკვევიაო. გუნდს კი უბრუნდება საბოლოოდ ტრავმამოშუშებული ფილიპო ინძაგი. დისკვალიფიკაციის ვადა გაუდის ჯუზეპე პანკაროს, კახა კალაძემ კი წინა კვირას, მილანური დერბის დროს ტრავმა მიიღო და მისი მოედანზე გასვლა საეჭვოა. არ იქნება დასჯილი კაფუც, რის გამოც კარლო ანჩელოტი დაცვის მარჯვენა ფლანგზე ჰოლანდიელ იაპ სტამს დააყენებს.

რაც შეეხება „ატალანტას", ერთი თვის წინ, როგორც სერია A-ს წარმომადგენელი, ის საყოველთაოდ გამოტირებული გახლდათ, მაგრამ მწვრთნელის, დელიო როსის დიდი დახმარებით გუნდმა ბოლო ოთხ შეხვედრაში შვიდი ქულა მოიპოვა, ხოლო „ლაციოსთან" უბრალოდ არ გაუმართლა — ბოლო წამს გაუშვა გოლი. სხვა საქმეა, რომ ბერგამოელებს უამრავი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული: იგორ ბუდანი, სტეფანო ლორენცი, ფაბიო რუსტიკო და „მილანის" ყოფილი მეკარე მასიმო ტაიბი. გარდა ამისა, დისკვალიფიკაციის გამო არ იქნებიან ლუიჯი სალა და ფაბიო მინგაცინი.

სერია A-ს ცხრილში მესამე ადგილზეა გენუის „სამპდორია", რომელსაც ამ სიმაღლეზე არავინ ელოდა, მაგრამ როგორც საქმიდან ჩანს, ჩემპიონთა ლიგაზე გასვლის ამბიცია მოეძალა. ის ხვალ, მშობლიურ „სტადიო მარასიზე" „კიევოს" მასპინძლობს და თუ მოუგებს, რაც გამორიცხული სულაც არ არის, ამ თავის ამბიციას კიდევ უფრო განიმტკიცებს.

მრავალტანჯული „ინტერი" „ლეჩეს" მასპინძლობს და ასე ზეპირად, შორიდან, ვითომ რატომაც არ უნდა მოუგოს, თუმცა „ინტერს" რას გაუგებ ბატონო...

# ინგლისი

ირაკლი ნინიძე

# რა ხდება? ლიგაზე ვფიქრობთ!

**პრემიერლიგის** 29-ე ტურში დაწყვილებულ გუნდებისთვის თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ ცხრილში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. საჩემპიონთალიგო ოთხეულის გუნდებს ისეთი მეტოქეები ჰყავთ, წესით, ფეხი არ უნდა დაუცდეთ.

ახლა კი მათი წინასამტჩო ამბები უფრო დაწვრილებით გავარჩიოთ.

ლიდერი „ჩელსი" ნორვიჩში ჩადის, ქალაქში, რომელსაც გუნდი პრემიერლიგიდან უვარდება. ამასთან, ნორვიჩელთა ყველაზე სახიფათო ფეხბურთელის, ფორვარდ დარენ ჰაკერბის თამაშიც სათუოა კუნთის გაჭიმვის გამო. მეორე მხრივ, არც ჟოზე მაურინიუ აპირებს უძლიერესი შემადგენლობით თამაშს, რადგან მომდევნო კვირაში „ბარსელონა" ჰყავს სამასპინძლო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩში. თუმცა, „ჩელსის" შესუსტებული შემადგენლობაც „ნორვიჩის" დასამარცხებლად საკმარისი უნდა იყოს.

ამავე ტურში „მანჩესტერ იუნაიტედი" „ნორვიჩივით" გაჭირვებულ „კრისტალ პალასს" სტუმრობს. მასპინძლებისთვის, ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე, ფრეც მიღწევა იქნება, თუმცა იუნაიტედელებისთვის ვერმოგება ფაქტობრივად, „ჩელსისთან" დევნის დასასრულს მოასწავებს. ამავე დროს სერ ალექს ფერგიუსონის ყურადღებაც საჩემპიონთალიგო მატჩისკენაა მიპყრობილი და მაურინიუს დარად, ისიც რამდენიმე ფეხბურთელის დასვენებას აპირებს. თუმც, რუუდ ვან ნისტელროი სავარაუდოდ ითამაშებს, რაკი „მილანთან" შებმის წინ ჰოლანდიელს ფიზიკური ფორმის აღდგენა მართებს.

„არსენალი", რომლის მიზანიც ოთხეულში დარჩენაა, რაც ლაუჯერებელია, არ გამოუვიდეს, „პორტსმუთს" მასპინძლობს. „პორტსმუთი", მოგეხსენებათ, დიდი ვერაფერი გუნდია და ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსი წააგო, მაგრამ არც „არსენალია" სახარბიელო მდგომარეობაში. დენის ბერხკამპი და ხოსე ანტონიო რეიესი დისკვალიფიცირებულნი არიან, რობერ პირესი და სოლ კემპბელი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ, საეჭვოა, ტიერი ანრის და ედუს მინდორზე გასვლაც.

მეოთხე ადგილზე ჯერჯერობით მყარად დგას „ევერტონი" და ამ ადგილისთვის ბრძოლა შიდა ლივერპულულ საქმე ქცეულა. ამდენად, ბრძოლა მძიმე იქნება.

„ევერტონი" „ბლექბერნს" მასპინძლობს, თამაშნაკლული „ლივერპული" კი „ნიუკასლს" სტუმრობს.

„ევერტონის" შემადგენლობაში, წინა მატჩებთან შედარებით, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. პრემიერლიგის სამი ჩემპიონიდან ერთ-ერთი, „ბლექბერნი" კი უპირველესად ნორვეგიელი შემტევი ნახევარმცველის, მორტენ პედერსენის იმედადაა — ამ ფეხბურთელმა ბოლო სამ თამაშში ორი გოლი გაიტანა.

„ნიუკასლისა" და „ლივერპულის" შეხვედრის წინ მთავარი სიახლე მასპინძელთა შემადგენლობაში ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტის დაბრუნებაა.

„ლივერპულს" კვალში უდგას „მიდლსბრო", რომელიც ბირმინგემში „ასტონ ვილას" სტუმრობს. ვილაპარკელებს ძალიან უჭირთ, ბოლო ხუთი სალიგო მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს, ეს გარემოება კი, ცხადია, „მიდლსბროს" წისქვილზე ასხამს წყალს.



რუუდ ვან ნისტელროის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | პორტსმუთი |
| ასტონ ვილა | : | მიდლსბრო |
| კრ. პალასი | : | მანჩესტერი |
| ფულემი | : | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | : | ლივერპული |
| ნორვიჩი | : | ჩელსი |
| საუთჰემპტონი | : | ტოტენჰემი |
| **ხვალ** | | |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ბირმინგემი |
| ევერტონი | : | ბლექბერნი |
| **ზეგ** | | |
| სიტი | : | ბოლტონი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 27 | 21 | 5 | 1 | 50:8 | 68 |
| მანჩესტერი | 28 | 18 | 8 | 2 | 47:17 | 62 |
| არსენალი | 28 | 17 | 7 | 4 | 64:32 | 58 |
| ევერტონი | 28 | 15 | 6 | 7 | 34:29 | 51 |
| ლივერპული | 27 | 13 | 4 | 10 | 41:29 | 43 |
| მიდლსბრო | 28 | 11 | 9 | 8 | 43:37 | 42 |
| ბოლტონი | 28 | 11 | 7 | 10 | 36:34 | 40 |
| ტოტენჰემი | 27 | 11 | 6 | 10 | 35:30 | 39 |
| ჩარლტონი | 27 | 11 | 6 | 10 | 32:38 | 39 |
| სიტი | 28 | 9 | 9 | 10 | 34:31 | 36 |
| ასტონ ვილა | 28 | 9 | 8 | 11 | 32:37 | 35 |
| ნიუკასლი | 27 | 8 | 10 | 9 | 39:44 | 34 |
| ბირმინგემი | 28 | 8 | 8 | 12 | 31:35 | 32 |
| პორტსმუთი | 28 | 8 | 6 | 14 | 31:42 | 30 |
| ფულემი | 27 | 8 | 5 | 14 | 33:46 | 29 |
| ბლექბერნი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:36 | 28 |
| კრ. პალასი | 28 | 6 | 7 | 15 | 32:45 | 25 |
| საუთჰემპტონი | 28 | 3 | 12 | 13 | 29:44 | 21 |
| ნორვიჩი | 28 | 3 | 11 | 14 | 28:55 | 20 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 2 | 12 | 13 | 23:49 | 18 |

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვალენსია | : | რეალი |
| ოსასუნა | : | ბარსელონა |
| ატლეტიკო | : | სევილია |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | : | ალბასეტე |
| სარაგოსა | : | რასინგი |
| მალიორკა | : | სოსიედადი |
| ბეტისი | : | ხეტაფე |
| ესპანიოლი | : | ლევანტე |
| ნუმანსია | : | ვილიარეალი |
| დეპორტივო | : | მალაგა |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 26 | 18 | 5 | 3 | 50:18 | 59 |
| რეალი | 26 | 17 | 2 | 7 | 46:22 | 53 |
| ვილიარეალი | 26 | 12 | 7 | 7 | 43:24 | 43 |
| სევილია | 26 | 12 | 7 | 7 | 32:29 | 43 |
| ვალენსია | 26 | 11 | 9 | 6 | 40:27 | 42 |
| ესპანიოლი | 26 | 12 | 6 | 8 | 32:28 | 42 |
| ბეტისი | 26 | 11 | 8 | 7 | 41:33 | 41 |
| ატლეტიკო | 26 | 10 | 6 | 10 | 28:25 | 36 |
| დეპორტივო | 26 | 8 | 12 | 6 | 36:35 | 36 |
| ბილბაო | 25 | 9 | 8 | 8 | 39:33 | 35 |
| მალაგა | 26 | 10 | 4 | 12 | 26:33 | 34 |
| სოსიედადი | 26 | 9 | 5 | 12 | 32:36 | 32 |
| სარაგოსა | 26 | 9 | 5 | 12 | 31:40 | 32 |
| ოსასუნა | 26 | 8 | 7 | 11 | 36:46 | 31 |
| ლევანტე | 26 | 8 | 7 | 11 | 28:38 | 31 |
| ხეტაფე | 25 | 7 | 7 | 11 | 23:28 | 28 |
| რასინგი | 26 | 7 | 7 | 12 | 26:39 | 28 |
| ალბასეტე | 26 | 5 | 9 | 12 | 24:37 | 24 |
| მალიორკა | 26 | 5 | 6 | 15 | 25:43 | 21 |
| ნუმანსია | 26 | 4 | 7 | 15 | 17:41 | 19 |

# ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*

## რეალური სიმპათიები



ზინედინ ზიდანმა პირველი წრის „რეალი" — „ვალენსია" ითამაშა

**27-ე ტურის** ცენტრალური მატჩი „მესტალიაზეა" — ანტონიო ლოპესის „ვალენსია" ვანდერლეი ლუშემბურგოს „რეალს" მასპინძლობს.

„ჟურნალისტები მეკითხებით, მოახლოებულ შეხვედრაზე ვღელავ თუ არა. გიპასუხებთ — რა თქმა უნდა, ვღელავ, ოღონდ მხოლოდ იმაზე, რომ „ვალენსია" ჩვეულ სტილში იბურთავებს თუ ვერა. თუ ისე ვითამაშეთ, როგორც განვლილ ტურებში „ბეტისთან" და „სევილიასთან", გარწმუნებთ, „რეალი", თუნდაც ქულით ვერ წავა აქედან. ერთი სიტყვით, არც ლუშემბურგოს ბიჭების სიძლიერე მაფიქრებს და არც არბიტრთა ცნობილი, „რეალური" სიმპათიები. მთავარია, გულშემატკივრებმა ისევ ძველებურად სტაბილური „ვალენსია" ნახონ" — საკმაოდ ოპტიმისტურად განაცხადა „ვალენსიას" პრეზიდენტმა ხუან სოლერმა გუშინ, „მარკას" კორესპონდენტთან საუბრისას.

„შემადგენლობა ისევ იგივეა, რაც რანიერის დროს იყო — განაგრძობს სოლერი — მაგრამ ფეხბურთელებს გასაოცარ ენთუზიაზმს ვატყობ და მჯერა, რომ ისინი მადრიდელებთან თავდაუზოგავად იბრძოდნენ".

„ვალენსიას" პორტუგალიელი მცველი მარკუ კანეირა არ ეყოლება, მან წინა ტურში, „სევილიასთან" მარცხენა ფეხი დაიშავა და ამ თამაშსაც იძულებით გამოტოვებს.

მოგეხსენებათ, „რეალის" კაპიტან რაულს გრიპი აქვს, ამიტომაც ვანდერლეი [illegible] რგო თავისი გუნდის თავდასხმაში [illegible] დო-ოუენის წყვილს დააყენებს. პირველი წრის მატჩში, „სანტიაგო ბერნაბეუზე" რომ გაიმართა, „გალაქტიკოსთა" წინა ხაზზე სწორედ რონალდო და ოუენი იყვნენ და ის თამაში მადრიდელებმა ლივერპულელის გოლით მოიგეს.

რაულის გარდა, სტუმრებს ისევ დააკლდებიან ტრავმირებულები — ზინედინ ზიდანი და მიჩელ სალგადო, ძალიან საეჭვოა იკერ კასილიასის თამაშიც. გაგახსენებთ, კასილიასმა „ბეტისთან", წინა ტურის მატჩში ტრავმა მიიღო და იგი მეორე ტაიმში სათადარიგო სესარმა შეცვალა. თუმცა, „რეალის" ექიმები „მესტალიაზე" იკერის გამოსვლის ჯერჯერობით მაინც არ გამორიცხავენ.

პრიმერას ერთპიროვნული ლიდერი „ბარსელონა" პამპლონაში, „ოსასუნას" ეწვევა, მაგრამ „ელ სარდინეროს" მსგავსი, სადაც მატჩი უნდა გაიმართოს, ვიწრო მოედანი და თამაშიც, სანახაობრივი თვალსაზრისით ვინძლო ცუდი საქმერიც გამოდგეს.

კატალონიელთა თავკაცი ფრანკ რაიკარდი ტრავმირებულ ლუდოვიკ ჟიულის მოისაკლისებს და ფრანგის ნაცვლად სავარაუდოდ, ანდრეს ინიესტა ითამაშებს.

ხავიერ აგირეს, „ოსასუნას" მწვრთნელს კი დაშავებული მცველი სესარ კრუჩაგა არ ეყოლება, თუმცა ბრაზილიელმა ვალდომ და კამერუნელმა ვებომ ტრავმები მოიშუშეს.

„ატლეტიკო" მესამეადგილოსან „სევილიას" მიიღებს, ხოლო მისი სეხნია ბილბაოელები კი ხვალ გაუმართავენ იმს შინაურ „სან მამესზე" მეოცრამეტეადგილოსან „ალბასეტეს".

მადრიდელი ფეხბურთელები — ანიბალ იბაგასა, ლუის პერეა და კარლოს აგილერა ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ, ბილბაოელ ბასკებს ოსკარ ვალესი დააკლდებათ.

„ალბასეტესთან" მხოლოდ მისაუგაბად ვითამაშებთ, „მალაგასთან" მარცხის შემდეგ „ატლეტიკს" სამი ქულა ჰაეროვით სჭირდება" — მოკლედ მოჭრა ერნესტო ვალვერდემ, „ბილბაოს" მწვრთნელმა ჟურნალისტებთან.

**ბუნდესლიგის** ყველაზე გოლუხვი გუნდები, „ბაიერნი" და ბრემენის „ვერდერი" დღეს მიუნხენში შეხვდებიან.

„მუსიკოსებს" მეტოქეზე რვა გოლით მეტი აქვთ გატანილი, თუმცა „ბაიერნმა" სათასო მატჩში „ფრაიბურგთან" ერთბაშად შვიდი შეაგდო და აჩვენა, რომ შეტევაში ყინჩადაა. „ვერდერი" მიუნხენელებს ოთხი ქულით ჩამორჩება, მაგრამ მეორე წრის დაწყებიდან სხვებზე უკეთესი შედეგით დაიკვეხნის, რადგან ზედიზედ ბოლო ხუთი თამაში მოიგო.

„ბაიერნთან" შეხვედრა ფინალის ტოლფასია, თუ წავაგეთ, მერე მათი დაწევა ძალიან გაგვიჭირდება — თქვა „მუსიკოსმა" ვალერიან ისმაელმა.

„ვერდერის" ფრანკ ბაუმანმა და ლუდოვიკ მანინიმ სათასო მატჩი გამოტოვეს და ტრავმები მოიშუშეს, ხოლო ხორვატი ივან კლასნიჩის თამაში საეჭვოა.

მიუნხენელებს მეჰმეთ შოლი ვერ დაეხმარება, ბიქსენტ ლიზარაზუ კი ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ბოხუმი" „შალკეს" ტრავმირებული იურაჟ მცველის, ფაბიან აკიელის გარეშე დაუხვდება. სამაგიეროდ, მარტინ მაიხელბეკი და მთავარი მეკარე რაინ ვან დუინჰოვენი გამოჯანმრთელდნენ. „შალკემ" ბუნდესლიგაში მიჯრით სამი შეხვედრა მოიგო, სამშაბათს კი სათასო მატჩში „ჰანოვერიც" მიაყოლა.

დიკ ადვოკაატის მიონხენგლადბახის „ბორუსია" ვოლფსბურგელ „მგლებს" უმასპინძლებს, რომელსაც ბულგარელი ფორვარდი მარტინ პეტროვი და არგენტინელი ნახევარმცველი ანდრეს დალესანდრო მოუმჯობინდა, თუმცა მცველი ფაკუნდო კიროგა დისკვალიფიცირებულია.

„ჰამბურგის" ფორვარდი ბენჟამინ ლაუტი „ლევერკუზენთან" მატჩში ალბათ ძირითად შემადგენლობაში მოხვდება. ლაუტი შარშან გაზაფხულზე დაშავდა და წლეულს რამდენჯერმე შეცვლაზე შევიდა. მასპინძელთა ჰოლანდიელი მცველი ხალიდ ბულარუზი კი დასჯილია და შეხვედრას გამოტოვებს.

ლევერკუზენელებს როკე ჟუნიორი და მარკო ბაბიჩი დააკლდებათ, ხოლო ცენტრალური მცველის, ჟუანის თამაში სასწორზეა.

„ჰანოვერს", რომელსაც ზედიზედ უკვე ოთხი ტურია არ მოუგია, ბლომად საექიმო ფეხბურთელები მოუგროვდა. ლაზარეთს სილვიო შრიოტერი და თომას კრისტიანსენიც შეუერთდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ როსტოკის „ჰანზასთან" მათი გამოჩენა საეჭვოა.

როსტოკელებმა ბოლოს ოქტომბერში მოიგეს და ამიტომაც არიან დალექილნი ცხრილის ფსკერზე. მათ ჰანოვერში თომას რასმუსენი, დელანო ჰილი და მარკუს ოლბოკი შეუერთდებიან, რომლებმაც „არმინიასთან" სათასო მატჩი შეგნებულად გამოტოვეს.

ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლი კიდევ ერთი წყვილი ერთმანეთს მაინცში დაეჯახება. მასპინძლები „ბაიერნთან" შერცხვენილ „ფრაიბურგს" დაუხვდებიან. „მაინცს" მეგოლე ბენჯამინ აუერი დაუბრუნდა, ხოლო სტუმრებს ნახევარმცველი საშა რიტერი დააკლდებათ.

მათიას ზამერის „შტუტგარტი" მიჯრით ხუთ მატჩში დაუმარცხებელ „არმინიას" ბორის ჟივკოვიჩით დაუხვდება, თუმცა მასპინძლებს მეთიუ დელპიერი არ ეყოლებათ.

„ჰერტას" თურქი ნახევარმცველი ილდირაი ბაშთურქი დისკვალიფიცირებულია ორი მატჩით, რადგან გასული ტურის შეხვედრაში ბურთი კარის ხაზიდან ხელით გამოაძევა. ბერლინელები „კაიზერსლაუტერნს" მიიღებენ, რომელსაც ინგო ჰერცი და მარკო ენგელჰარდტი დასჯილი ჰყავს, ხოლო მცველე კარსტენ იანკერი დაშავებულია.

# გერმანია

*ვაჟა ხუციშვილი*

## მუსიკა და გოლაობა მიუნხენში

## სასწორზე ბუნდესჩემპიონობაა



ბრემენელი ვალერიან ისმაელის აზრით, „ბაიერნთან" დღევანდელი ჯახი ფინალის ტოლფასია

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მაინცი | : | ფრაიბურგი |
| შტუტგარტი | : | არმინია |
| ჰამბურგი | : | ლევერკუზენი |
| გლადბახი | : | ვოლფსბურგი |
| 12105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 2.0 | 1.6 |
| 12164 | ატალანტა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12165 | რომა-იუვენტუსი | 1.9 | 1.7 |
| 12166 | სიენა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 12167 | მესინა-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12168 | პარმა-კალიარი | 1.8 | 1.85 |
| 12169 | უდინეზე-ბოლონია | 1.6 | 2.0 |
| 12170 | სამპდორია-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 12171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12172 | ინტერი-ლეჩე | 2.1 | 1.55 |
| 12174 | ლივორნო-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.6 | 2.0 |
| 12217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 1.6 | 2.0 |
| 12218 | სარაგოსა-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12219 | ვალენსია-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12220 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 12222 | ატლეტიკო-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12224 | დეპორტივო-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.55 | 2.1 |
| 16003 | კრისტალ პალასი-მანჩესტერი | 3.5 | 1.2 |
| 16005 | არსენალი-პორტსმუთი | 1.06 | 5.25 |
| 16007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.6 | 1.9 |
| 16008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1.65 | 1.9 |
| 16009 | ფულჰემი-ჩარლტონი | 1.65 | 1.9 |
| 16010 | ნორვიჩი-ჩელსი | 4.0 | 1.15 |
| 16012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 1.7 | 1.8 |
| 16013 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.25 | 2.8 |
| 16014 | სიტი-ბოლტონი | 1.5 | 2.2 |
| 16096 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.4 | 2.4 |
| 16097 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.35 | 2.5 |
| 16098 | შტუტგარტი-არმინია | 1.2 | 3.55 |
| 16099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.1 |
| 16100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.25 | 2.9 |
| 16101 | ბოხუმი-შალკე | 2.2 | 1.5 |
| 16103 | ბაიერნი-ვერდერი | 1.3 | 2.9 |
| 16104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1.25 | 2.9 |
| 16105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.75 | 1.8 |
| 16164 | ატალანტა-მილანი | 4.0 | 1.15 |
| 16165 | რომა-იუვენტუსი | 1.8 | 1.7 |
| 16166 | სიენა-ბრეშა | 1.35 | 2.6 |
| 16167 | მესინა-ლაციო | 1.55 | 2.15 |
| 16168 | პარმა-კალიარი | 1.3 | 2.8 |
| 16169 | უდინეზე-ბოლონია | 1.3 | 2.8 |
| 16170 | სამპდორია-კიევო | 1.2 | 3.5 |
| 16171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.35 | 2.65 |
| 16172 | ინტერი-ლეჩე | 1.07 | 4.9 |
| 16174 | ლივორნო-პალერმო | 1.7 | 1.8 |
| 16216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.65 | 2.2 |
| 16217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 1.9 | 1.6 |
| 16218 | სარაგოსა-რასინგი | 1.25 | 3.0 |
| 16219 | ვალენსია-რეალი | 1.7 | 1.8 |
| 16220 | ოსასუნა-ბარსელონა | 3.0 | 1.25 |
| 16221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.2 | 3.3 |
| 16222 | ატლეტიკო-სევილია | 1.55 | 2.35 |
| 16223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.15 | 3.7 |
| 16224 | დეპორტივო-მალაგა | 1.25 | 3.0 |
| 16225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.25 | 3.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17002 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17003 | კრისტალ პალასი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | არსენალი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17008 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ფულჰემი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ნორვიჩი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | სიტი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | შტუტგარტი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ბოხუმი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ბაიერნი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ატალანტა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | რომა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17166 | სიენა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17167 | მესინა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17168 | პარმა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | უდინეზე-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17170 | სამპდორია-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ინტერი-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ლივორნო-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17216 | მალიორკა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ნუმანსია-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17218 | სარაგოსა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ვალენსია-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ბილბაო-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17222 | ატლეტიკო-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17223 | ბეტისი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17224 | დეპორტივო-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17225 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.85 | 1.95 |

# ევროლიგა

### მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 2-3 მარტი

# ევროლიგა წითლებმა დაიპყრეს

## ზისისი წაქცეულიც გმირია

**ევროლიგა** ქართველების გარეშე გრძელდება, თუმც ეს ფაქტი სულაც არ ანელებს ინტერესს ამ მართლაც შთამბეჭდავი შეჯიბრის მიმართ. 24 გუნდიდან რვის გამოცხრილვის შემდეგ ოთხი ოთხგუნდა ჯგუფი შეიქმნა და იქ ახლა ბრძოლება გახურებული, მტერს და ავს...

2-3 მარტს მეორე ტურის მატჩები დიდი ინტერესისა და დაძაბულობის თანხლებით გაიმართა, თუმც რაც ათენში აეკ — „ეფესის" შეხვედრას ახლდა, სასწაულიც შეგვიძლია ვუწოდოთ. ბერძნებმა იმიტომ ინერვიულეს მთელი თამაშის განმავლობაში, რომ შემდეგ დიდი სიხარული განეცადათ, რომელიც მათ ახალგაზრდა ამომავალმა ვარსკვლავმა ნიკოს ზისისმა მიანიჭათ.

სანამ უშუალოდ მატჩზე მოგიითხრობდეთ, ის დიდი მუხტი გამოვარჩიოთ, რომელიც ამ შეხვედრას ახლდა. ბერძენ-თურქების „კეთილმეზობლური" ურთიერთობის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება და ვითარებას ისიც ძაბავდა, რომ სასწორზე მეტად ღირებული ორი ქულა იდო. ორივე გუნდს თითო გამარჯვება უკვე მოეპოვებინა და ამ მატჩის მოგების შემთხვევაში ჯგუფიდან გასასვლელად ხელსაყრელი ვითარება ექმნებოდა.

ათენის ოლიმპიური დარბაზი, რა თქმა უნდა, გადაჭედილი იყო და აეკ-ის ზღვა გულშემატკივარს გული უფანცქალებდა თავისი გუნდის საპირველტაიმო უგერგილობის გამო. თამაშის უდიდესმა ნაწილმა „ეფესის" ლიდერობით ჩაიარა და მესამე მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე სტუმრები 13 ქულას იგებდნენ. ჰენრი დომერჩანტი იყო ის კაცი, რომელიც ბერძნებმა ვერაფრით მოათვინიერეს და სტამბოლელებსაც ულხინდათ.

თუმც ბერძენი რის ბერძენია, თუ ერთი მაინც არ გაიბრძოლა, მით უმეტეს, როცა საკუთარი გულშემატკივრებით გადაჭედილ დარბაზში თამაშობს. გაიბრძოლეს და მერე როგორ: 7-წუთიანი მონაკვეთი თურქების თავებზე 16:1 გაიშლიგინეს და საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე გალიდერდნენ კიდეც. ამის შემდეგ თამაში თანაბარ კალაპოტში ჩადგა და მოატანა ბოლო წუთმა, რომელიც არასდროს დაავიწყდება აეკ-ის გულშემატკივარს და, რა თქმა უნდა, ნიკოს ზესისს.

საქმე ზისისის გმირობამდე არ მივიდოდა, სტუმრებს ბოლო წუთზე ზუსტად რომ ეტყორცნათ საჯარიმოები, მაგრამ როცა ათი ათასამდე მაყურებელი ხმის ჩახლეჩამდე ყვირის, ნიკოლას პრკაჩინი კი არა, უფრო ცნობილი და გამოცდილი მოთამაშეებიც ცდებიან. პრკაჩინმა ბოლო წუთზე ოთხიდან ორი საჯარიმო გააცუდა და „ეფესს" სირენამდე 16 წამით ადრე ორქულიანი ლიდერობა შერჩა. აეკ-ელთა გადამწყვეტი შეტევა ნიკოს ხაძისმა წამოიწყო და სეხნია ზისისი მონახა პერიმეტრზე. ზისისმა ბურთი კი მიიღო, მაგრამ ფეხი დაუცდა და მოედანზე გაიშხლართა.

უცნაურია, მაგრამ მან ბურთი არ დაკარგა, წაქცეულიც აკონტროლებდა და თვალის დახამხამებაში წამოდგომა, ახტომა და ბრუნში ორი მეურვის ხელებიდან ჯადო სამქულიანის ჩაგდება მოასწრო. სირენა გადარეული მაყურებლის ღრიალმა გადაფარა.



ნიკოს ზისისმა სასწაულებრივი სამქულიანით აეკ-ს გაამარჯვებინა

არანაკლებ დაძაბული ბრძოლა გაიმართა თელ ავივში, კიდევ ერთ გიჟმაჟი მაყურებლებით ცნობილ ქალაქში. ათენის დარად, აქაც ისე დამთავრდა ყველაფერი, როგორც ადგილობრივ ტრიბუნებს სურდა, სანაქებოდ მებრძოლი და მონდომებული „სიენა" კი იტალიაში მეტად გულჩათხრობილი გაბრუნდა.

მთელი თამაში თითქმის თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმც უფრო მხნედ იტალიელები გამოიყურებოდნენ და გამარჯვების სერიოზული განაცხადიც გააკეთეს — დასრულებამდე 2 წუთით ადრე 80:76 დაწინაურდნენ. დარჩენილ დროში განმეორდა თითქმის იგივე, რაც ათენში: დევიდ ვანტერპულმა და ბასტი ტორნტონმა 4 საჯარიმოდან მხოლოდ 2 ჩააგდეს და „სიენამ" ბოლო წუთზე ორქულიანი ლიდერობითღა დაკმაყოფილდა.

„მაკაბის" გადამრჩენელი ტყორცნის განხორციელება შარუნას იასიკევიჩუსმა ითავა, რომელსაც მანამდე 8 სამქულიანი გაეცუდებინა. ამ კრიტიკულ მომენტში გრძნეულ ლიტველს ხელი არ აჰკანკალებია და სირენამდე 22 წამით ადრე „მაკაბი" 85:84 დააწინაურა.

დარჩენილ დროში სიენელებს ორჯერ მიეცათ თამაშის გადარჩენის შანსი, თუმც ჯერ ტორნტონმა, მერე კი ვანტერპულმა საშუალო მანძილებიდან ააცილეს.

დაძაბულობა არ აკლდა, მაგრამ გამორჩეული იყო ცსკა — „სკავოლინის" შეხვედრა. საქმე ისაა, რომ წითელარმიელებმა ამჯერადაც იმარჯვეს და მიმდინარე სეზონში ჯერაც დაუმარცხებელნი არიან. არმიელებმა ევროლიგაში მიჯრით მე-16 შეხვედრა მოიგეს, საერთო ჯამში კი, რუსეთის ჩემპიონატსა და თასთან ერთად, 39 მატჩში არ დამარცხებულან.

ჩვენს მიერ ნახსენები ცსკა, „მაკაბი" და აეკ-ი თავ-თავიანთ ჯგუფებში ლიდერობენ, კიდევ ერთი მოწინავე კი ბასკური „ტაუა", რომელმაც ამჯერად ევროლიგის ოდინდელ ჩემპიონ „პანათინაიკოსს" მოუგო ვიტორიაში.

**ირაკლი პერტაია**

### D ჯგუფი

**მაკაბი 85:84 სიენა**

**მაკაბი:** ვუიჩიჩი (30), პარკერი (22 ქულა, 11 მოხსნა)
**სიენა:** ვანტერპული (21), ტორნტონი (14)

**ულქერი 84:77 ციბონა**

**ულქერი:** შტომბერგასი (25), თუჩერი (17)
**ციბონა:** პოპოვიჩი (19), ფიტჩი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 2 | 2 | 0 | +32 | 4 |
| სიენა | 2 | 1 | 1 | +27 | 3 |
| ულქერი | 2 | 1 | 1 | -24 | 3 |
| ციბონა | 2 | 0 | 2 | -35 | 2 |

### F ჯგუფი

**კლიმამიო 77:73 პანათინაიკოსი**

**კლიმამიო:** ლორბეკი (18), ვუიანიჩი (14)
**პანათინაიკოსი:** ლაკოვიჩი (22), შჩეპანოვიჩი (17)

**ტაუ 100:69 ჟალგირისი**

**ტაუ:** სკოლა (26), მასიაუსკასი (24)
**ჟალგირისი:** ტიმინსკასი (20), ბერდი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 2 | 2 | 0 | +41 | 4 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 1 | +7 | 3 |
| კლიმამიო | 2 | 1 | 1 | -6 | 3 |
| ჟალგირისი | 2 | 0 | 2 | -42 | 2 |

### E ჯგუფი

**ბარსელონა 84:71 რეალი**

**ბარსელონა:** ნავარო (20), ბოდიროგა (16)
**რეალი:** ბენტი (25), ბალოკი (13)

**ცსკა 88:68 სკავოლინი**

**ცსკა:** ბრაუნი (20), დიკუდსი (18)
**სკავოლინი:** მოტოლა (17), პენი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | +41 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | -8 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | -9 | 3 |
| სკავოლინი | 2 | 0 | 2 | -24 | 2 |

### G ჯგუფი

**ბენეტონი 89:75 პროკომი**

**ბენეტონი:** გორეე (24), შიშკაუსკასი (17)
**პროკომი:** იაგოდნიკი (28), ვოიციკი (21)

**აეკ 70:69 ეფესი**

**აეკ:** ზისისი (22), ხაძისი (13)
**ეფესი:** დომერჩანტი (29), პრკაჩინი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 2 | 2 | 0 | +9 | 4 |
| ეფესი | 2 | 1 | 1 | +23 | 3 |
| ბენეტონი | 2 | 1 | 1 | +6 | 3 |
| პროკომი | 2 | 0 | 2 | -38 | 2 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ზო და K

## მურნინგი მაიამიმ შეიფარა

— 3 მარტი —

**ნიუ ჯერსი 90:106 მაიამი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (27), მერსერი (12)
**მაიამი:** ვეიდი (27 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა, 4 დაფარება), ონილი (20 ქულა, 13 მოხსნა)

**დენვერი 96:87 ინდიანა**

**დენვერი:** ენტონი (28), კემბი (17 ქულა, 22 მოხსნა, 7 პასი, 7 დაფარება)
**ინდიანა:** ჯეკსონი (16), ფ. ჯონსი (15)

**ფინიქსი 100:97 დეტროიტი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (26 ქულა, 10 მოხსნა), რიჩარდსონი (20), ნეში (16 ქულა, 14 პასი)
**დეტროიტი:** რ. ვოლესი (22 ქულა, 13 მოხსნა), ბილაფსი (17), ჰამილტონი (16), ბ. ვოლესი (5 ქულა, 18 მოხსნა)

„ნიუ ჯერსისთან" თამაშისთვის „მაიამის" ორი სახელგავარდნილი მოთამაშე დაუბრუნდა — შაკილ ონილი და ალონზო მურნინგი. ამათ საერთო ბევრი მოეძებნებათ. ორივე ცენტრია, ონილიც და მურნინგიც 1992 წლის დრაფტის შემდეგ მოვიდნენ ნბა-ში, თანაც პირველ-მეორე ნომრებად და ათეულ წელზე მეტი აზანზარებდნენ ლიგას, მაგრამ აქედანვე შეუცდომლად ითქმის, ისინი სხვადასხვაგვარად დაასრულებენ ტიტულ-მიღწევებით დახუნძლულ კარიერას. ალონზოს ან უბრალოდ „ზოს" ნაკლებად გაუმართლა, ტრავმებიც მეტი შეხვდა და ბოლო წელიწადნახევარია, გადანერგილი თირკმლით ცდილობს ვარსკვლავის სტატუსის შენარჩუნებას. არ გამოსდის და ახლა ის უკვე ნამდვილად ველარ დაეზომება შაკილ ონილს.



ზევით ვთქვით, ეს ორი მთაკაცი „მაიამის" დაუბრუნდაო. შაკი სამთამაშიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მობრუნდა, მურნინგი კი სხვა გუნდებში, კერძოდ „ნიუ ჯერსიში" და „ტორონტოში" ცოდვილობის შემდეგ კვლავ ჩაირიცხა „ჰითში", რომელშიც თავისი მოღვაწეობის ყველაზე კაშკაშა წლები გაუტარებია და ფლორიდული გუნდის პირველკაციც ყოფილა.

ახლა მურნინგი პირველი ნამდვილად ველარ იქნება. ისევ იმ ტრავმა-ავადმყოფობების გადამკიდე ახლა ონილის მარქაფად თუ გამოდგება და თუ ნაკრებ-ოლ სტარებს არ ჩავთვლით, პირველად გაუწევს დეკშაკს პარტნიორობას.

რაც შეეხება „ნიუ ჯერსისთან", აქ მურნინგი მხოლოდ ორი წუთით, სიმბოლურად შევიდა მოედანზე და ორად ორი მოხსნით შეეწია „მაიამის". შაკს კი ნამატჩევს 20 ქულა და 13 მოხსნა მოუგროვდა...

ხომ ამხელა ბიჭები ჰყავს „მაიამის", მაგრამ ეს გუნდი მაინც სხვა კაცზე დგას. 191-სანტიმეტრიანმა მორგვივით გამთამაშებელმა დუეინ ვეიდმა „ნიუ ჯერსის" 27 ქულა ჩაუგდო და თავისიანები კიდევ ბევრით ასარგებლა. „მაიამიმაც" მესამე მეოთხედში გატეხა მეტოქე — ვეიდმა რამდენიმეწუთიან მონაკვეთში 8 ქულა და 6 პასი გაახერხა და ეს 12-წუთეული 32:17 მოაგებინა თავისიანებს.

„ნიუ ჯერსიში" საუკეთესო კვლავ ვინს კარტერი გახლდათ, თუმცა მისი 27 ქულა და 9 პასი საქმეს ვერ ეყო და „ნეთსი" პირველად დამარცხდა ბოლო ოთხ მატჩში.

კიდევ უფრო გულდასაწყვეტად წააგო „დეტროიტ პისტონზმა". ჩემპიონებს ზედიზედ რვა თამაშში არ ენახათ მარცხის სიმწარე და მოუხელთებელ „ფინიქსს" გასვლით შეხვედრის ბოლო მეოთხედში 10 ქულით უსწრებდნენ, თუმცა ამ გუნდთან ამხელა სხვაობა საკმარისი რომ არაა, ფინიქსელებმა ერთხელაც დაამტკიცეს. სტივ ნეშმა და კომპანიამ ექვს წუთში გააბათილეს ჩამორჩენა და იმავ ნეშის წყვილი საჯარიმოებით 84:83 რომ დაწინაურდნენ, აღარც დაუთმიათ ლიდერობა.

ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა ნიკა ცქიტიშვილის ყოფილმა გუნდმა და ქართველი ფორვარდის სულ ახლახან „გოლდენ სტეიტში" გამშვებმა „დენვერმა". კოლორადოელებს სწორედ რომ დროულად მოუსწრო ჯორჯ კარლმა, ახალმა მწვრთნელმა, ვინც უხეირო ჯეფ ბზდელიკი ასე კარგად შეცვალა. ასეთი მწვრთნელი რომ უზით მოედნის პირას, დენვერელებისთვის სულ იოლ საქმედ ჩანს „ინდიანას" მსგავსი მეტოქეების წაქცევა. „ნაგიტსი" სამი მეოთხედის შემდეგ 18 ქულით ამარცხებდა მეტოქეს და მერე ოდნავ მოუშვა ლაგამი. ინდიანელები კი ამ მარცხს ალბათ მთავარი მექულე-მომხსნელის, ჯერმენ ონილის ტრავმას მიაწერენ, რომელიც ჯერ კიდევ მეორე მეოთხედში დაუშავდათ.

**კოტე ყორშია**

# ზაზა თურმანიძემ ჩემპიონები დარაზმა

## თავისუფლები სოფიამდე სოფიაში იჭიდავებენ



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ზაზა თურმანიძე

**ჭიდაობის** საერთაშორისო ფედერაციის მიერ გვარიანად გადახალისებული წესებით, საქართველოს ნაკრები საერთაშორისო არენაზე პირველად ამ უქმეებზე გამოვა. დღეს-ხვალ სოფიაში ევროპის ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად მიჩნეული ტურნირი ჩატარდება თავისუფალ ჭიდაობაში, შემდეგ შაბათ-კვირას კი ხალიჩაზე ბერძენ-რომაელები გავლენ.

ევროპაზე წამსვლელი შვიდეულები ორივე სტილის ჭიდაობაში ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდა და, ცხადია, თურმანიძე-დარჩიამაც პირველი ბულგარული გუნდები მათით შეავსეს, მაგრამ ორივე მწვრთნელი აქედანვე აცხადებს, რომ სოფიაში შედეგს ყურადღებას მხოლოდ მეორედ ვიზიტისას, 12-17 აპრილის ევროპირველობაზე მიაქცევენ.

„საევროპო ნაკრებში რამდენიმე ისეთი მოჭიდავე მოხვდა, რომელთაც მსგავს ტურნირებზე დიდი გამოცდილება არ აქვთ — გვითხრა თურმანიძემ — მათთვისაც და სხვა შედარებით გამოცდილებისთვისაც ამ ბულგარულ ტურნირს უფრო სავარჯიშო ხასიათი ექნება, შედეგზე კი აპრილში ვიფიქრებთ".

თავისუფლები სოფიაში ორი დღის წინათ გაფრინდნენ. საქართველოს ჩემპიონების გარდა ნაკრების ღირსებას ოლიმპიადამოვლილი ოთარ თუშიშვილი (66 კგ) და გელა სალირაშვილი (74 კგ) დაიცავენ, მაგრამ მათ ოქროებიც რომ მოიგონ საევროპე შემადგენლობაში მოხვედრას ამით მაინც ვერ გაინაღდებენ. ნაკრებში დასაბრუნებლად და წლის ბოლოს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონტზე მოსახვედრად მათთვის, ისევე როგორც დავით პოღოსიანის (60 კგ), ლუკა კურტანიძის (96 კგ) და ლექსო მოდებაძისთვის (+120), აუცილებელი საზაფხულო ტრადიციულ თბილისურ კარტოზიას ტურნირზე წარმატებული გამოსვლა იქნება.

თურმანიძის გუნდი ბულგარეთის დედაქალაქიდან ტურნირის დასრულებისთანავე დაბრუნდება და ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისს მორიგი მთის შეკრებით გააგრძელებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| 55კგ | ბესიკ გოჩაშვილი |
| 60კგ | კობა კაკალაძე |
| 66კგ | შალვა მუზიაშვილი<br>ოთარ თუშიშვილი |
| 74კგ | დავით ახალმოსულიშვილი<br>გელა სალირაშვილი |
| 84კგ | რევაზ მინდორაშვილი |
| 96კგ | გიორგი გოგშელიძე |
| +120კგ | დავით ოთიაშვილი |



# დიდი წრე სალინიდან სალინამდე



**ამერიკელმა** მოგზაურმა და თავგადასავლების მოყვარულმა, მილიარდერმა სტივ ფოსეტმა კიდევ ერთი მსოფლიოს რეკორდით აღგვაფრთოვანა — ამჯერად ერთადგილიანი თვითმფრინავით — „გლობალ ფლაიერ ვირჯინით", რითაც დედამიწას გარს შემოუფრინა.

ეს მეტად უჩვეულო თვითმფრინავი, როგორც ვიუწყებოდით, საგანგებოდ ამ მოგზაურობისთვის აიგო, რათა საწვავის შეუვსებლად და ძირსდაუშვებლად დედამიწისთვის შემოეფრინა. ფოსეტმა კანზაში, ქალაქ სალინის აეროდრომიდან დაწყებული მოგზაურობა ნავარაუდევ 80 საათზე გაცილებით ადრე იქვე დაასრულა და გახდა პირველი ადამიანი, ვინც ამგვარ მიზანს მიაღწია.



# ბურთი მოედანზე, თითი პულტზე

**კიდევ** ერთი სარაგბო შაბათი დაგვიდგა. მიუხედავად იმისა, რომ ამ უქმეებზე 6 ერის თასის გათამაშებაში შესვენებაა, მსოფლიოს სარაგბო ვარსკვლავები მაინც ითამაშებენ.

ჯერ ერთი, სამხრეთ ნახევარსფერო არ უქმობს და ზე-თორმეტის მეორე ტურიც გაუხურებიათ იქაურებს, მეორეც, ინგლისში თვიქნემის სტადიონზე ერთი გემრიელი მატჩი უნდა გაიმართოს. თამაში საქველმოქმედო იქნება და ბუცით თავზე ლაბიჯებას, კისრების მოგრეხვას, მუშტი-კრივს და ზედახორას ნამდვილად ვერ ვიხილავთ. მით უკეთესი, უფრო ლამაზი საყურებელი იქნება.

ამ მატჩში ჩრდილოეთ ნახევარსფეროს რჩეული მორაგბენი, რომელთა შორისაც ბრიტანული გვარსახელები სჭარბობენ, სამხრეთ ნახევარსფეროს ნარჩევ ჯეელებს დაუპირისპირდებიან. თამაშის რეპორტაჟს სახელმწიფო ტელევიზიაც გვთავაზობს და თუ რაგბი გიყვართ, პულტზე თითის დაჭერა ნუ დაგეზარებათ.

ჩრდილოელთა რიგებში შოტლანდიელი საიმონ ტეილორი და ირლანდიელი დევიდ ჰემფრისის დარი მოჯაშკაშე ვარსკვლავები ითამაშებენ. გუნდს სახელგანთქმული ირლანდიელი, ბრაიან ოდრისკოლი უკაპიტნებს, მწვრთნელად კი ინგლისელთა ყოფილი დამრიგებელი, სერ კლაივ ვუდვორდი მოგვევლინება.

სამხრეთელებს როდ მაკკუინი უთავკაცებს, გუნდში კი ისეთი მორაგბეები გამოუძახებია, როგორებიც ავსტრალიელთა კაპიტანი ჯორჯ გრეგანი, ახალზელანდიელთა კაპიტანი ტანა უმაგა, სამხრეთაფრიკელთა ჯილა და ცოცხალი თილისმა ჯონ სმიტი არიან.

ორგანიზატორები იმედოვნებენ, ეს თამაში ტრიბუნებს შეავსებსო. შევსებული ტრიბუნები ბევრ ფულს ნიშნავს. ბევრი ფული კი ახლა სამხრეთაზიურ ქვეყნებს სჭირდება, ცუნამისგან რომ ძალზე იზარალეს. მთელ შემოსავალს სწორედ მათ გადაურიცხავენ.

შოუს გარდა, დღეს ოფიციალური თამაშებიც გაიმართება. ზე-თორმეტის მეორე ტური გუშინ დაიწყო და 2 მატჩი ჩატარდა. „ბლუზმა" ოკლენდში „რედს" უმასპინძლა. „ლურჯ-წითელი" დაპირისპირება „ლურჯების" სასარგებლოდ დამთავრდა. „ბლუზმა" 18:15 მოიგო. მეორე მატჩში შარშანდელი ჩემპიონი, ავსტრალიური „ბრამბისი" სამხრეთაფრიკელ „ხარებს" მასპინძლობდა და ეს მატჩიც დაძაბული გამოდგა. ავსტრალიელებმა „ბულზი" 21:19 დაამარცხეს.

ტურის დარჩენილი მატჩები დღეს გაიმართება, დაწვრილებით მიმოხილვას კი ორშაბათის ნომერში იხილავთ.

**ლადო ფულუკიძე**



# თბილისელთა მაქსიმუმი

## სამი თამაში, სამი მოგება

**თბილისელმა** წყალბურთელებმა უკრაინის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩებში ბოლო შეხვედრაც მოიგეს. ამჯერად მათ ხარკოვის დინამოელებს სძლიეს — 6:4.

ამ შეხვედრაშიც თბილისელები პირველივე პერიოდში დაწინაურდნენ და მას მერე ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვიათ.

თბილისელთაგან 2 ბურთი გაიტანა ზურაბ რურუამ, ხოლო გალაქტიონ ლაითაძემ, მიხეილ ბალათურიამ, ილია ბუტიკაშვილმა და ესტატე ნიკოლეიშვილმა თითოჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი.

ამრიგად, თბილისელებმა ტურის სამივე შეხვედრა მოიგეს და ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს.

სხვა ჯგუფების შეხვედრების გათვალისწინებით ჩემპიონატს კვლავ ლიდერობს მარიუპოლის გუნდი, ხოლო თბილისელები მეორე ადგილზე არიან.

მეოთხე ტურის შეხვედრები 27 მარტს კვლავ კიევში გაიმართება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

„ა" ქვეჯგუფი. 4 მარტი

# შევარდნებმა იშევარდნეს



ბადრი ქეთილაძის ფოტო

უტევს მამია კობახიძე

**სტუ-შევარდენი 24:15 თბილისი**

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე, სამყურაშვილი, ბოყოჩაძე (გაიტანა 5 გოლი), რუსია (5), ტალახაძე (5), ქობელაშვილი (4), კობახიძე (2), ნადირაძე (2), ნიკოლაიშვილი (1), ომარ ყიფიანი, ამირან ყიფიანი, სხიერელი, სახვაძე, კვერნაძე

**თბილისი:** გარიშვილი, გონჩაროვი, სამარღანიშვილი (7), გელაშვილი (4), არსენაშვილი (2), ფორაქიშვილი (1), აბულაძე (1), სიორიძე, ჩაჩანიძე, ლესერი, სულიკაშვილი, ქარდავა, ქოქოშვილი, ფლენტი

*მსაჯები:* ვლადიმირ ნეჩაი, ვაგიფ ალიევი

**თელავი 27:19 გორი**

**თელავი:** ტურაშვილი, ბალაშვილი, მეტრეველი (6), ნატროშვილი (5), გიორგელაშვილი (4), ჯიშკარიანი (4), ხარებაშვილი (3), ელიზბარაშვილი (3), არჯევანიძე (1), არჯევნიშვილი (1), ჩიკვაიძე, ხატიაშვილი, სიბაშვილი

**გორი:** ტორონჯაძე, მშვიდობაძე (9), ქარქაშაძე (4), ბაზანდარაშვილი (3), გელა ნასყიდაშვილი (1), ხარაიძე (1), თურმანიძე (1), წურიაშვილი, გურციშვილი, გიორგი ნასყიდაშვილი, წკრიალაშვილი, აბრამიშვილი, თამაზიშვილი, მაისურაძე

*მსაჯები:* ელენე არაბული, გიორგი ბროლაძე

**ეროვნული** პირველობა ოქტომბერში ოთხმა წამყვანმა კლუბმა რიხით კი დაიწყო, მაგრამ უკვე პირველი წრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მე-15 ტიტულისთვის ბრძოლას მხოლოდ უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი" და ხელბურთის კლუბი „თბილისი" შეძლებდნენ.

კონკურენტთა პირველი დაპირისპირება (სულ კი ოთხი იქნება) მოულოდნელად „თბილისმა" მოიგო, თუმც სავსებით დამსახურებულად. ეს 14-გზის ჩემპიონ შევარდნელთა ეროვნულ სარბიელზე ბოლო ათწლეულში პირველი მარცხი იყო, რამაც, ბუნებრივია, ინტრიგა შეჰმატა ჩემპიონატს.

გუშინ მათი მეორე სუპერმატჩი შედგა და მოლოდინის საპირისპიროდ, დაძაბული ბრძოლა არ გამოვიდა. მართალია, ტექნიკოსებს მეორე წრის წინ დაუბრუნდათ ქუთაისმოვლილი სუპერმეგოლე ალეკო ბოყოჩაძე, აგრეთვე ომარ ყიფიანი, მაგრამ მაინც ვერავინ ივარაუდებდა ჩემპიონთა ასეთი დიდი უპირატესობას.

შევარდნებმა ყოველ კომპონენტში დაჯაბნეს კონკურენტები, განსაკუთრებით ეს მათი დაცვის ორმეტრიანი ხაზის საიმედოობაში გამოიხატა. თბილისელთა სნაიპერები — ლევან გელაშვილი და ლაშა სამარღანიშვილი ჩვეულებრივ მაღალ ნახტომში ბურთის ტყორცნით აღწევენ მიზანს, ამჯერად კი მათი ეს უმთავრესი იარაღი ჩემპიონთა შეუვალმა დაცვამ უვნებელყო. პირველივე წუთზე გელაშვილმა თავისიანები კი დააწინაურა, მაგრამ ეს თბილისელთათვის ერთადერთი ლიდერობა აღმოჩნდა, მალე „დაქოქილმა" გიორგი ქობელაშვილმა თანაფარდობა აღადგინა, მერე კი აკაკი ტალახაძემ წინ გაიყვანა „შევარდენი" და ამის შემდეგ ჩემპიონებს ერთხელაც აღარ მიუციათ მეტოქისთვის წამოწევის საშუალება.

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 11 | 0 | 1 | 401:280 | 22 |
| თბილისი | 10 | 1 | 1 | 338:272 | 21 |
| ქარიშხალა | 8 | 1 | 3 | 366:329 | 17 |
| თელავი | 7 | 0 | 6 | 348:325 | 14 |
| გორი | 0 | 0 | 12 | 251:398 | 0 |

## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

VIII ტური

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) 1:0
გარი კასპაროვი (რუსეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — დაისვენა

# პირველი მოგება და პირველი მარცხი




**პირველი** გამარჯვება მოიპოვა სუპერტურნირის აშკარა აუტსაიდერმა ესპანელმა ფრანცისკო ვალეხომ. მასპინძელმა ფიდეს ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვს მოუგო და ეს უზბეკისთვის პირველი მარცხი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინ, როცა ვალეხოს სამი წაგება და საშინელი შედეგები ჰქონდა, სპეციალისტებმა თქვეს, რომ ახლა ესპანელს დასვენება და საკუთარ თავთან გარკვევა სჭირდებაო. მეექვსე ტურის შემდეგ ერთი დღე უქმად იყო გამოცხადებული. ჰოდა, ვალეხომაც დაისვენა და სადი ტვინით ჯერჯერობით ურიგოდ არ ასპარეზობს.

ვალეხომ კასიმჯანოვთან პარტია ნაკლებადცნობილი დებიუტით მხედარი f3-ით დაიწყო და ლაზიერის ფლანგიდან პაიკები გამოუშვა. თამამად გააგრძელა თამაში ესპანელმა, მე-6 სვლაზე კუ გაუცვალა უზბეკს, შემდეგ კი პაიკები დაქოქა და გაცვლებს შეუდგა. ვალეხომ მარჯვენა ფლანგზე განავითარა იერიში, ოთხივე პაიკი უფრო მიუახლოვა მტერს და მცველებად ეტლთა წყვილი მიუყენა. კასიმჯანოვმაც ეტლებით არჩია ბრძოლა, თეთრები საკუთარ ტერიტორიაზე არ შეუშვა და უკანაც გააბუნძულა. ვალეხომ უთანასწორო ბრძოლას უკანდახევა ამჯობინა, თუმც არ გაჩერებულა, ეტლი მარცხენა მხარეს გაუშვა და იქიდან დაარტყა შავებს. კასიმჯანოვიც ხელმწიფის ფლანგზე გადმოერთო, რითაც გაიძვერა ესპანელმა ისარგებლა და მარცხენა ფლანგებიდან პაიკებით შეუტია უზბეკს. უმეთვალყუროდ დარჩენილ ფიგურებს ვალეხომ მუსრი გაავლო, პაიკი უფრო მიაჩოჩა ჩათვლის ხაზისკენ და 59-ე სვლაზე ლაზიერად გააცოცხლა. ორთაბრძოლებში კასიმჯანოვი რამდენიმე სვლა გაუძალიანდა მოიერიშე პაიკებს, თუმც მიხვდა, რომ მომრევი არ იყო და თვითონაც სცადა პაიკის გაყვანა, მაგრამ ერთი სვლით დააგვიანა და მე-60 სვლაზე დამარცხება აღიარა.

გარი კასპაროვმა პეტერ ლეკოსთან შეხვედრაში კვლავ დაკარგა ნახევარი ქულა, თუმც იმ დღეს მისი მთავარი კონკურენტი ინდოელი ვიშვანათან ანანდი ისვენებდა და რუსმაც ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

დიდოსტატებმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშეს და ფიგურების განლაგებას შეუდგნენ. ყოჩაღად თამაშობდა ლეკო, რომელიც მრისხანე მეტოქეს თავიდანვე არ შეეპუა და ორივე კუთი დაარტყა. პლანეტის მე-13 ჩემპიონმა იოლად მოიგერია უნგრელის შემოტევები, კუები მოუკლა და საპასუხოდ თვითონაც ეტაკა. იერიშებით რუსმა მალევე გატეხა ლეკო, ხელმწიფის ფლანგი საკმაოდ მიუშიშვლა და წესით უნდა მოეგო კიდეც, თუმც უნგრელმა სვლები გაიმეორა და 31-ე სვლაზე ყაიმი დააფიქსირა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 4,5/7 თამაში |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 4/7 |
| 3. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 3,5/6 |
| 4. | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 3,5/7 |
| 5. | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3/7 |
| 6. | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 3/7 |
| 7. | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 2,5/7 |



მე-60 სვლაზე უზბეკი დანებდა

## სახალხო ჭადრაკი

# სალაღობო ამბები მეექვსე ჩემპიონის ცხოვრებიდან

*დღეს დავასრულებთ ერთი კვირის წინ დაწყებულ თხრობას მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკზე, მომდევნო შაბათს კი ვასილი სმისლოვზე მოგითხრობთ*

### კისელი

**ბოტვინიკი** ვერ იტანდა მიხეილ ტალის თამაშის კომბინაციურ სტილს, ვერ იტანდა კი არა, ეზიზღებოდა. 1960 წელს, როცა ტალს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაუთმო, ბოტვინიკი მაშინვე შეუდგა რევანშისთვის მზადებას, მაგრამ მისთვის ტალის დამარცხება ლამის შეუძლებელი გახლდათ.



მიხეილ ბოტვინიკი
17.08.1911 — 05.05.1995

მოჭადრაკეებმა იციან: ნებისმიერი პოზიციისას არსებობს საუკეთესო სვლა, ოღონდ ეგაა, რომ ეს საუკეთესო სვლა უნდა იპოვო და გააკეთო. ბოტვინიკიც ასე იქცეოდა, გამოთვლიდა თავის საუკეთესო სვლას, მერე ითვლიდა მეტოქის საუკეთესო სვლას, მერე ისევ თავისას და ასე შემდეგ. ოღონდაც, მიხეილ ტალთან თამაშისას ეს გათვლები არ ჭრიდა. ბოტვინიკის საუკეთესო სვლას ტალი არა თავისი საუკეთესოთი, არამედ არასტანდარტული, დამაბნეველი, ხშირად პარადოქსული სვლებით პასუხობდა, რითაც ბოტვინიკის ყველანაირი გათვლა აზრს კარგავდა. ბოტვინიკი ხედავდა, რომ ტალის თამაშის სტილი ლოგიკურ გათვლას არ ექვემდებარებოდა, თავგზა ებნეოდა, ნერვიულობას იწყებდა და მარცხდებოდა. ბოლოს ბოტვინიკი მიხვდა, რომ ტალის დამარცხების გასაღები მეტოქის ფსიქოლოგიურ გატეხვაში უნდა ეძებნა.

ბოტვინიკმა ასე განსაჯა: ტალის წინააღმდეგ თამაშისას სულაც არ არის აუცილებელი ობიექტურად საუკეთესო სვლის მოძებნა. უმჯობესია მოძებნო სვლა, რომელიც პოზიციას გაამარტივებს. იმდენად გაამარტივებს, რომ ტალისთვის, ჭადრაკის მოცარტისთვის, ის უსაშველოდ მოსაწყენი გახდება. მოსაწყენი პოზიცია კი რომანტიკოს ტალს მოადუნებს და შეცდომას დაუშვებინებს.

და ბოტვინიკმა ამ მეთოდს მიმართა.

ერთ-ერთი პარტიისას, აბსოლუტურად თანაბარ ენდშპილში, ტალმა სავსებით საფუძვლიანად შესთავაზა ბოტვინიკს ყაიმი. ბოტვინიკმა უარი თქვა და თამაში ძალიან ნელ ტემპში გააგრძელა.

თანაბარი და მოსაწყენი პოზიცია უფრო გამარტივდა და კიდევ მეტად მოსაწყენი გახდა. ჭადრაკის მოცარტმა ტალმა ლამის მთქნარება დაიწყო და 20 სვლის მერე შეცდომა დაუშვა. პარტია ბოტვინიკმა მოიგო.

მაგრამ ტალი ერთსა და იმავე ფანდზე ორჯერ არ წამოეგებოდა და ბოტვინიკს სამომავლოდ რაღაც ახალი ტრიუკი უნდა მოეგონებინა.

ერთ-ერთი მომდევნო პარტია ბოტვინიკისთვის სრულიად უიმედო პოზიციაში გადაიდო. მთელი ღამე უძილოდ გაათია, ვარიანტებს აანალიზებდა, ხსნას ეძებდა. გამთენიისას დარწმუნდა, რომ გადარჩენის შანსი არ ჰქონდა, თუ რა თქმა უნდა, ტალი მე-5 მე-6 სვლაზე შეცდომას არ დაუშვებდა. მსოფლიოს ჩემპიონისგან კი უბრალო შეცდომის დაშვება წარმოუდგენლად ჩანდა. ერთი ვარიანტი რჩებოდა: ტალისთვის მორიგი ფსიქოლოგიური პროვოკაცია უნდა მოეწყო.

ტალი ბოტვინიკის თვისებებს კარგად იცნობდა. ბოტვინიკი მაგიდასთან რომ ჯდებოდა, გვერდით განუყრელი პორტფელი ედო. თამაშის დაწყებიდან 2-3 საათი რომ გავიდოდა, პორტფელიდან ერთ ბოთლ კისელს და ჭიქას ამოიღებდა და წრუპავდა.

ამ გადადებული პარტიის დასასრულებლად ბოტვინიკი უპორტფელოდ მივიდა. ტალისთვის ეს ნიშანი იყო: რაკი ბოტვინიკმა კისელი არ მიიტანა, ესე იგი დაფასთან დიდხანს ჯდომას არ აპირებს, ფორმალურად რამდენიმე სვლას გააკეთებს და დანებდება.

ბოტვინიკმა ძალიან სწრაფად, უდიერადაც დაიწყო სვლების კეთება. ტალი მოეშვა და სწორედ მე-6 სვლაზე ის უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა. ბოტვინიკმა მეტოქის შეცდომა შენიშნა, მაგრამ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია, ნელა წამოდგა, კულისებში გავიდა. იქიდან პორტფელით დაბრუნდა, დაჯდა, პორტფელი გახსნა, ბოთლი ამოიღო, დაისხა, დალია და დაფას მხოლოდ ამის მერე დახედა.

ტალი მიხვდა, რომ მისთვის რაღაც გამოუსწორებელი მოხდა, რომ თამაში კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა და ძალიან მძიმე იქნებოდა. მაგრამ ბოტვინიკის ასეთი თეატრალურ-ფსიქოლოგიური ფანდის მერე ტალი ასეთი თამაშისთვის მზად აღარ იყო. ბოტვინიკისთვის აბსოლუტურად უიმედო პარტია ყაიმით დასრულდა.

მატჩ-რევანშის დროს ბოტვინიკმა ტალს კიდევ რამდენიმე ასეთი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა.

ბოტვინიკისა და ტალის ეპოქას ჭადრაკის ძველი მოყვარულები ოქროს ხანას უწოდებენ.

**არტემ გეშაძოვი**

ჩოგბურთი

# მისკინას დასვენებამ აწყინა

## დუბაის ქალთა ღია პირველობა

მაგარსაფარი. საპრიზო 1 მილიონი $

### მეოთხედფინალი

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:1 6:4; **სერენა უილიამსი** (2, აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (1, სლოვაკეთი) 6:4 6:3; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) 6:7 (0:7) 7:6 (7:2) 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:2 6:2



პატი შნიდერი

REUTERS ფოტოები

სერენა უილიამსმა მეოთხედფინალში იმაზე უკანმოუხედავად იჩოგნავა, ვიდრე წინა წრეში ელენა ბოვინას წინააღმდეგ. ამიტომაც იყო, ამ ბოლო დროს თითქოს რიგიანად აბურთავებული მეტოქე თავიდანვე რომ დაიმორჩილა და გალმა გამოდავების შანსი ერთხელაც არ მიუცია.

ისევ ჩაიფლავა მესამე ნომრად განთესილმა ანასტასია მისკინამ, ვინაც ნამატჩევს თავის საამსეზონო კალაპოტიდან ამოვარდნილობა იმ 20-დღიანი შესვენებით ახსნა, რაიც 2004 წლის დამლევს რუსქალთა წარმატებულ ფედთასების მერე მოიწყო. მაგარი დაღლილი ვიყავი, მაგრამ ხანგრძლივმა არდადეგებმა ფორმიდან ამომაგდესო.

ამქრის პირველოსანმა ლინდსი დევენპორტმა უპრობლემოდ დაჩაგრა ოდინდელ უიმბლდონოსანი კონჩიტა მარტინესი. 32 წლის ესპანელმა მეორე წრეში კი გაიბრძოლა და 4:2-ც დაწინაურდა, მაგრამ მომდევნო 4 გეიმი ბითურად ჩააბარა და გაბუნძულდა.

18 წლის ჰინდუ სანია მირზამ კი, ვინაც ეს კვირაა ძალუმი მელანი გვახარჯვინა თავისი მოულოდნელად დამაჯერებელი თამაშის გამო, ვერაფერი გააწყო უშეცდომოდ მოგლაჯუნე სერბი იანკოვიჩის წინააღმდეგ.

ჰალალად რომ ვთქვა, დღეს ისე ცუდად არ მიჩოგნავია, უბრალოდ იმას ბურთი არ გაუმაზავსო, იმართლებდასავით ნამარცხევს მირზა და მართალიც იყო.

**არტემ ჩაჩანიძე**

ფორმულა 1 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი

# მოხეტიალე ცირკი

**ხვალ** ტრადიციულად ავსტრალიაში, უკვე მეათედ, გზას გაუდგება „სამეფო რბოლების" მოხეტიალე ცირკი. ისე, ამბობენ, ეს მწვანე კონტინენტისთვის ბოლო ზეიმია, შემდგომში სეზონს მალაიზია გახსნისო, თუმც ესეც სავარაუდო ვარაუდია.

56-ე საფორმულო ჩემპიონატი უზარმაზარი სარეგლამენტო სიახლეებით გაიხსნება: ბოლიდების არანორმალურად გაზრდილ სისწრაფეთა დასაოკებლად საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ შეამცირა ძრავ-საბურავების რესურსი, კერძოდ, ყოველ კვალიფიკაციასა და რბოლაზე პილოტებმა საბურავების თითო კომპლექტი უნდა იკმარონ, მოტორმა კი უკვე ორ პოულ-რბოლას უნდა გაუძლოს. შეიცვალა საკვალიფიკაციო წესდებაც — რბოლაში მძღოლთა სასტარტო პოზიცია ორი ცდის ჯამური დროით განისაზღვრება.

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ სიახლეები რამდენად გაამართლებს, მხოლოდ უშუალოდ ტრასებზე გამოჩნდება.

იმავე სარეგლამენტო ცვლილებების მიზეზით პრეზენტაცია ტოპგუნდებს შორის ყველაზე გვიან „სკუდერია-ფერარიმ" მოაწყო. 2005 წლის „ფერარი" მარანელოში ავსტრალიაში გამგზავრების წინ კი წარმოაჩინეს, მაგრამ რა აზრი აქვს — ეს ბოლიდი ხომ ტრასებზე მხოლოდ მეხუთე, ესპანურ ეტაპზე გაიჯირითებს.

სეზონს შუმი-კელოს სუპერტანდემი შარშანდელი, თუმც ახალი რეგლამენტის შესატყვისად ადაპტირებული მანქანებით დაიწყებს. ეგაა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, ამასთან დაკავშირებით, მძიმე დასაწყისს ელის, რადგან ჩვენი კონკურენტები უკვე ახალი მოდელით ჩაებმებიან, ჩვენ კი ამოწურულრესურსიანი მანქანებით მოგვიწევს გაჯირითებაო.

არა უშავს, ფავორიტად ხომ მაინც ფერარელი „წითელი ბარონი" — შუმახერი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ დაბერდა, ოცკაცა ქარავანში ყველა ასაკოვანია (36) და თითქოს უმოტივაციოდაც უნდა იყოს, მაგრამ ნურას უკაცრავად. შარშანდელისა არ იყოს, უმოტივაციობას არ ვუჩივი, პენსიაზე არ ვფიქრობ და ის კი არა, ჩემს ათი წლით უმცროს მეტოქეებსაც მაგარ ფორას მივცემო.

წლეულს უსასრულოდ ბევრი, 19 დიდი პრიზი გათამაშდება. ამდენი ეტაპი არასოდეს ყოფილა. შარშანდელ 18 რბოლას თურქული დაემატა და იმედია, სტამბოლის გარეუბანში აგებულ ტრეკსაც „დაგეგმილი", სულ მცირე, 150000 ქომაგი მიაწყდება.




REUTERS

## ფერარი

„სკუდერია-ფერარი" დაარსდა 1929 წელს
ფორმულა 1-ში გამოდის 1950 წლიდან
ჩემპიონის ტიტული 14; კონსტრუქტორთა თასი 14
2004 წელს პირველი ადგილი (262 ქულა)
704 რბოლა, 182 მოგება, 178 პოული, 181 უსწრაფესი წრე, 4249,5 ქულა
პრეზიდენტი ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო
გენერალური დირექტორი ჟან ტოდტი
ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი
ბოლიდი „ფერარი F 2005"
ძრავა „ფერარი 054" (V10)
საბურავები „ბრიჯსტოუნი"



**მიხაელ შუმახერი**

**გერმანია**
დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს
ჰურტ-ჰერმილჰაიმში
ცხოვრობს შვეიცარიაში
ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი
სიმაღლე 174სმ; წონა 74კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ბელგიის დიდი პრიზი (1991)
პირველი გამარჯვება:
ბელგიის დიდი პრიზი (1992)
მსოფლიოს შვიდგზის
(1994, 1995, 2000-2004) ჩემპიონი
გუნდები: „ჯორდანი" (1991),
„ბენეტონი" (1991-1995)
„ფერარიშია" 1996 წლიდან

**რუბენს ბარიკელო**

**ბრაზილია**
დაიბადა 1972 წლის 23 მაისს
სან პაულუში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი
სიმაღლე 172 სმ; წონა 77 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
სამხრეთ აფრიკის
დიდი პრიზი (1993)
პირველი გამარჯვება:
გერმანიის დიდი პრიზი (2000)
2002,04 წლების ვიცე-ჩემპიონი
გუნდები: „ჯორდანი" (1993-1996)
„სტიუარტი" (1997-1999)
„ფერარიშია" 2000 წლიდან

Formula 1

**პირველი ეტაპი ავსტრალიის დიდი პრიზი**

## ალბერტ პარკი

*მელბურნი, 6 მარტი*



**ტრასის სიგრძე** ------------------------------ 5.303 კმ
**რბოლის დისტანცია** ---------------------- 58 წრე — 307.574 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 6 საათზე*

**შარშან**: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ალონსო (რენო); 4 რ.შუმახერი (უილიამსი); 5 მონტოია (უილიამსი); 6 ბატონი BAR; 7 ტრული (რენო); 8 კულჰარდი (მაკლარენი)

**წრის რეკორდი**: 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:24.215 (227,0 კმ/სთ)

## მონაწილეები

| № | მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | ასაკი | რბოლა | მოგება | პოდიუმი | პოული | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 36 | 213 | 83 | 137 | 63 | 1186 |
| 2 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | ფერარი | 32 | 195 | 9 | 57 | 13 | 451 |
| 3 | ჯენსონ ბატონი | დიდი ბრიტანეთი | B.A.R. | 25 | 84 | — | 10 | 1 | 127 |
| 4 | ტაკუმა სატო | იაპონია | B.A.R. | 28 | 35 | — | 1 | — | 37 |
| 5 | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | რენო | 23 | 51 | 1 | 9 | 3 | 118 |
| 6 | ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | რენო | 32 | 141 | 1 | 10 | 1 | 116 |
| 7 | მარკ ვებერი | ავსტრალია | უილიამსი | 28 | 50 | — | — | — | 26 |
| 8 | ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | უილიამსი | 27 | 85 | — | 1 | — | 28 |
| 9 | კიმი რაიკონენი | ფინეთი | მაკლარენი | 25 | 67 | 2 | 18 | 3 | 159 |
| 10 | ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | მაკლერენი | 29 | 68 | 4 | 22 | 11 | 217 |
| 11 | ჟაკ ვილნევი | კანადა | ზაუბერი | 33 | 134 | 11 | 23 | 13 | 219 |
| 12 | ფელიპე მასა | ბრაზილია | ზაუბერი | 23 | 34 | — | — | — | 16 |
| 14 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | რედ ბული | 34 | 175 | 13 | 60 | 12 | 473 |
| 15 | კრისტიან კლიენი | ავსტრია | რედ ბული | 22 | 18 | — | — | — | 3 |
| 16 | იარნო ტრული | იტალია | ტოიოტა | 30 | 130 | 1 | 4 | 2 | 117 |
| 17 | რალფ შუმახერი | გერმანია | ტოიოტა | 29 | 127 | 6 | 22 | 5 | 272 |
| 18 | ტიაგო მონტეირო | პორტუგალია | ჟორდანი | 28 | — | — | — | — | — |
| 19 | ნარაინ კარტიკეიანი | ინდოეთი | ჟორდანი | 28 | — | — | — | — | — |
| 20 | კრისტიან ალბერსი | ჰოლანდია | მინარდი | 25 | — | — | — | — | — |
| 21 | პატრიკ ფრიზახერი | ავსტრია | მინარდი | 24 | — | — | — | — | — |

## კალენდარი

| თარიღი | ქვეყანა | ქალაქი | ტრასა, კმ | დისტანცია |
|---|---|---|---|---|
| 6 მარტი | ავსტრალია | მელბურნი | 5,303 | 307,574 |
| 20 მარტი | მალაიზია | კუალა ლუმპური | 5,543 | 310,408 |
| 3 აპრილი | ბაჰრეინი | მანამა | 5,417 | 308,769 |
| 24 აპრილი | სან მარინო | იმოლა | 4,933 | 305,609 |
| 8 მაისი | ესპანეთი | ბარსელონა | 4,627 | 305,256 |
| 22 მაისი | მონაკო | მონტე კარლო | 3,340 | 260,520 |
| 29 მაისი | ევროპა | ნიურბურგი | 5,148 | 308,863 |
| 12 ივნისი | კანადა | მონრეალი | 4,361 | 305,270 |
| 19 ივნისი | აშშ | ინდიანაპოლისი | 4,192 | 306,016 |
| 3 ივლისი | საფრანგეთი | მანი კური | 4,411 | 308,586 |
| 10 ივლისი | დიდი ბრიტანეთი | სილვერსტოუნი | 5,141 | 308,355 |
| 24 ივლისი | გერმანია | ჰოკენჰაიმი | 4,574 | 306,458 |
| 31 ივლისი | უნგრეთი | ბუდაპეშტი | 4,381 | 306,663 |
| 21 აგვისტო | თურქეთი | სტამბოლი | 5,378 | 306,546 |
| 4 სექტემბერი | იტალია | მონცა | 5,793 | 306,720 |
| 11 სექტემბერი | ბელგია | სპა-ფრანკორშამი | 6,973 | 306,812 |
| 25 სექტემბერი | ბრაზილია | სან პაულუ | 4,309 | 305,909 |
| 9 ოქტომბერი | იაპონია | სუზუკა | 5,807 | 307,573 |
| 16 ოქტომბერი | ჩინეთი | შანხაი | 5,451 | 305,256 |

# სნაპერის კლდეებთან

ოქროს ნაპირზე „ქვიქსილვერ პრო“ გახურებულა. სნაპერის კლდეებთან ჯერჯერობით ყველას ამერიკელი კრის უორდი ჯობნის. „ქვიქსილვერ პრო“ პირველი შეჯიბრია მსოფლიო ჩემპიონატების წლიური ტურისა, რომელშიც 45 საუკეთესო მოსერფე და სამი იღბალა ბარათის მფლობელი მონაწილეობს. საპრიზო ფონდი კი 270 ათასი დოლარია.



# ჯილდო მამაცობისთვის

ველოსპორტის მეფე ლენს არმსტრონგი კიბოსთან ბრძოლის ფონდის შეკრებაზე მისულა ბევერლი ჰილსში. არც გასაკვირია, მან ხომ კიბო დაამარცხა. ამიტომაც, ფონდს არმსტრონგისთვის სიმამაცის ჯილდო გადაუცია.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS მელბურნიდან

# დეიდა ბო

საფორმულე სეზონი ამ უქმეებზე იხსნება მელბურნში. ეს ყველამ ვიცით, ამ დეიდას კი ძველი კინომოყვარულები თუ იცნობენ: ოდესღაც ბო დერეკი ისეთივე ცნობილი ეკრანის ქალი იყო, როგორც დღეს, ვთქვათ, ჯულია რობერტსია. ჰოდა, ჩამომჯდარა „ჯორდანის“ კიდეზე დეიდა ბო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ჯიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელეტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge